საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 იანვარი, 2013 წელი.

№11 (7138)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გადაეფარე, ვით ყოველთვის, შენს ერს და საძწყსოს!

②

საშობაო წერილი მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღირსება აქვს იმ ხალხს, იმ ქვეყანას, რომელიც იცავს თავის კონსტიტუციას!

③

წერილი დიპლომატიურ კორპუსს

ზუგდიდელებმა სააკაშვილის ცოცხლად დამარხვის სცენა განასახიერეს

④

20 იანვარს 13 საათზე ღირსების შეკრება

პრეზიდენტის სასახლესთან, ავლაბარში საჯაროდ გამოვაცხადოთ სააკაშვილის პრეზიდენტობის საკონსტიტუციო ვადის დასრულება და გავაცილოთ იგი პრეზიდენტობიდან!

⑨

„ჩვენი დაცხრილვის შემდეგ ჩემი ტაბელური იარაღი ვანო მერაბიშვილს ეჭირა ხელში“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გადაეფარე, ვით ყოველთვის, შენს ერს და სამწყსოს!

საშობაო წერილი მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

„თქვენო უწმინდესობავ! განრთხმული ვარ მე თქვენ წინაშე და თქვენზე ლოცვით მითბება გული! ქარველთ პატრონო, გვირგვინო და სიბრძნის ნათებავ, სხივო სახიერო, ერთადერთო მხსნელო ქართველისა! გადაეფარე, ვით ყოველთვის, შენს ერს და სამწყსოს და იხსენ იგი გარდუვალი განსაცდელისგან!"

მე ამას გწერდი რვა წლის წინათ. ახლაც ამას გწერ, რადგან დამღალა ხანჯლის ქნევამ, ომმა ნიადაგ, ამ გარეწართან, ვინც ვერ გაძღა ქართველთა სისხლით, თქვლეფით, სიშლეგით, ტაშ-ფანდურით, სიძვით, მრუშობით!

უკვე ღელე ვარ, დამშრალი და მიტოვებული, მოწითალო დაუანგულ ქვებით და აწ წვიმასაც აღარ ველი, რადგან ღელე ვარ უსახელო, მზით გამოხრული! იმის მაგიერ, მოლოცვებით ვიწყებდე წერილს, ისევ ვწუწუნებ, მე არჯალი, მე უხიაკი!

რა ვქნა, არა ჰგავს საშობაოს ჩემი წერილი!

... ეკრანებიდან ისევ ისმის მავანთ გნიასი, ავიფოფრები, ყველაფერი უკუღმა დგება, რადგანაც ვიცი, ამათ ისევ სისხლი სწყურიათ.

გამახსენდა მოედანზე გონჯი ფიცრული, საწნახელი რომ დაარქვეს ამ მანქურთებმა, როგორ ჭყლიტეს ბუქნით ყურძენი, გალანძღეს ვაზი, შეურაცხყვეს უფლის მტევანი!

და იდგა ღართან ჭურჭლით ხელში, არას მქონე, მათხოვარი ჩემი თბილისი!

რა ვქნა, არა ჰგავს საშობაოს ჩემი უსტარი!

შენ, შენ აგკიდეთ მთელი ერის ცოდვის ხურჯინი! შენ, შენ დაგადგით მხრებზე ჯვარი ჩვენივ საზიდი! და მიგაქვს, მიგაქვს მოთმინებით, თავგანწირვით, მიხვალ, მიაპობ ცოდვის მორევს, მეწყერს მტრობისას, როგორც მნათობი ბნელ ღამეში მწყემსი მართალი, რომ კვლავ გადარჩეს ბაღ-ვენახი მარიამისა!

მაგრამ, ვაი რომ, ამათ ისევ სისხლი სწყურიათ, რომ აირიოს ეს ქვეყანა ბაბილონივით!

– ემანოელ! ემანოელ! ჩვენთან არს ღმერთი!...

მთელი მსოფლიო აღიარებს სიწმინდეს შენსას, ძლიერნი ამა სოფლისანი თავებს გიხრიან!

მე ვერ გავუძლებ იმ ცდუნებას, რომ არ ამოვთქვა, რომ არ წამომცდეს ის ნუგეში, ის უფლის ჯილდო, რაიც მიბრძანე: – **„ჩვენ ძმები ვართო!"**, ჩემი ხელი გულთან მიიდე და კვლავ დასძინე: – **„შენ როცა გიჭირს, ჩემთან მოდი, მე მითხარი სატკივარიო!"**

მოძღვართ-მოძღვარო, მიჭირს ისე, მიჭირს ისე, როგორც არასდროს!

რა ვქნათ, სულმნათო?! დავითმინოთ, არვინ განვსაჯოთ? ისევ ვუყუროთ ამათ ხორხოცს, ყელყელაობას?! იქნება დასცდეს რომელიმეს: – შემეშალაო! ან ვინმემ მაინც მოითხოვოს ცრემლით შენდობა!..

მაინც ვიკითხავ, თუნდაც ხატზე გადამცე დღესვე, და ბებერ თავზე კვერთხი რისხვით გადამამსხვრიო:

რითი მჯობია მე, ლოთს, ავყიას, ანაფორაში გახვეული ძველი თაღლითი? ან მოძველბიჭო ღვთისმსახური, ძველი მკრეხელი, ვერცხლში და სკივრში თავწარგული ხარბი თვალებით?

ემანოელ! ემანოელ! გვიხსენ, უფალო!

... დასიცხული საფეთქელი კვლავ იმეორებს, კვლავ იმეორებს იმ ძველ ტკივილს, იმ ძველ სტრიქონებს: – ვის, ვის დასცდება, ვინ იტყვის, რომ მოინანია? სხვის დასანახად მორწმუნენო, ქრისტიანენო! უფალს მაშინ თუ გაიხსენებთ, როდესაც გიჭირთ, მუხლზე დადგებით პირჯვრის წერით:

– ღმერთო მიშველე, მიშველე და დამიფარეო! ხოლო, როდესაც მიუსხდებით შემწვარ ერკემალს, ან ძუძუს ლოშნით ნაღვინევ და დორბლიან ბაგით, სად არის ღმერთი, რად არ გახსოვთ მაშინ უფალი?!

მეც თქვენნაირი ღორი ვარ და მიტომაც ვტირი, ჩემს თავს ვტირი მარად მშიშარი!

რა მოკლე გზაა გოლგოთამდე, რა მოკლე გზაა!

ან რა გაიგო, რა შეიგნო ადამის მოდგმამ? პირიქით, უფრო გამხეცდა და უფრო გაავდა! ტაბუდადებულ სკივრებიდან ამოყარა, გაამზეურა ამაზრზენი მღვრიე სიზმრები!...

ო, რაბი, რაბი! ბარაბაა ყველა ჩვენგანი, ჩაჩერებული პირდაღებულ საფლავის მიწას!..

ემანოელ! ემანოელ! ჩვენთან არს ღმერთი!

როგორ მიყვარხარ, მენატრები, როგორც ჰაერი!

ვერ დაგიხატე გერგეთისკენ გზა მიმავალი, მთის ყვავილებით მოღაღანე ფერადი ტბები! მე ვარ მარგილი წაწვეტილი, შუბი მშიერი, დაუნდობელი, შენი მტრების მარად მდევარი!..

ქართველთ პატრონო! სახიერო, სიბრძნის ნათებავ! გადაეფარე, ვით ყოველთვის, შენს ერს და სამწყსოს! ეს მანქურთები შეაბრუნე ღორების კოლტში და ნუ შეუნდობ დანაშაულს, უპატიებელს!

საჯენ, დაგმე და შეაჩვენე ეშმაკეული, დასვი წერტილი, უფლის ნებით დასვი წერტილი!

ცრემლის გუბეში თავწარგული,
ცოდვილი ცოდვილთა შორის,
რეზო ამაშუკელი.

2013 წლის 10 იანვარი.

◎ **განცხადება**

სააკაშვილს ვურჩევთ, ნუ გამოცდის ქართველი ხალხის მოთმინებას!

მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები თუ ქმედებები აშკარად დესტრუქციული, პროვოკაციული ხასიათისაა და მიმართულია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

სამწუხაროა, რომ სააკაშვილმა და ამჟამად ოპოზიციაში მყოფმა ნაცმოძრაობამ ვერ დააფასეს შემწყნარებლობა ქართველი ხალხისა, რომელმაც მათ რადიკალური მეთოდებით არ მოსთხოვა პასუხი იმ უბედურებებისთვის, ქვეყანასა და ხალხს თავს რომ დაატეხა ამ ნეობოლშევიკურმა, თავისი ბუნებით კაცთმოძულე რეჟიმმა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სკამსა და ძალაუფლების ნარჩენებს ჩაბღაუჭებულ სააკაშვილს მიმდინარე წლის 20 იანვარს უმთავრდება ხუთწლიანი საპრეზიდენტო ვადა. ჩვენ გვესმის ის იურიდიული სირთულე, რომელიც შექმნა წინანდელი, ფაქტობრივად, ერთპარტიული პარლამენტის მანკიერმა საკონსტიტუციო ცვლილებამ, კერძოდ, საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად ოქტომბრის გამოცხადებამ.

თავი რომ დავანებოთ იურიდიულ შეუსაბამობას, მიხეილ სააკაშვილს კარგა ხანია ამოწურული აქვს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის პოლიტიკური და მორალური რესურსები, რაც საბოლოოდ დაადასტურა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა და იმ გამანადგურებულმა მარცხმა, რომელიც ამ არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ და პირადად სააკაშვილმა იწვნიეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, 20 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა დატოვოს ჯერ კიდევ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში უკანონოდ მიტაცებული თანამდებობა.

პირადად სააკაშვილს ვურჩევთ, ნუ გამოცდის ქართველი ხალხის მოთმინებას და ნუ დაიმძიმებს სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით თავის ისედაც კატასტროფულად დამძიმებულ მდგომარეობას.

„ქართული აკადემია"
17.I.2013.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღირსება აქვს იმ ხალხს, იმ ქვეყანას, რომელიც იცავს თავის კონსტიტუციას!

წერილი დიპლომატიურ კორპუსს

გვაძვს პატივი ჩვენი კოალიციის სახელით დაგიდასტუროთ კეთილი განწყობა, მოგილოცოთ ახალი წლის დღესასწაული და გისურვოთ პირადად თქვენ, საელჩოს მთელ შემადგენლობას, თქვენს ქვეყანასა და ხალხს სიკეთე და ბედნიერება.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვადასტურებთ თქვენი ქვეყნის მხარდაჭერასა და უდიდეს წვლილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი შემდგომი დემოკრატიული განვითარების პროცესებში.

ამჯერად ჩვენი წერილის მიზანია, გაგიზიაროთ ჩვენი პოზიცია საქართველოს კონსტიტუციის გამო შექმნილ პრობლემასთან დაკავშირებით. ერთის მხრივ კონსტიტუცია აღიარებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით და მეორეს მხრივ, არჩევნები უნდა ჩატარდეს 2013 წლის ოქტომბერში, ანუ 10 თვის შემდგომ პრეზიდენტის ხუთ წლიანი უფლებამოსილების ვადის გასვლიდან.

საქართველოს მოსახლეობისათვის, ისე როგორც ყოველი დემოკრატიული, თუ დემოკრატიის გზით მიმავალი ქვეყნისათვის, მიუღებელია მოსაზრება, რომ დაირღვევს კონსტიტუციით განსაზღვრული საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა და მისი ამოწურვის შემდგომ არასდროს არავის არ ჰქონდეს უფლება, თუნდაც ერთი დღით, მიითვისოს საპრეზიდენტო ხელისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლით ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით. ორი თვის განმავლობაში საქართველოს ერთ მილიონამდე (1 000 000) ამომრჩეველმა ხელი მოაწერა მემორანდუმს 20 იანვარს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ხელმოწერით გამოხატა თავისი ნება და ამცნობს მსოფლიო თანამეგობრობას, რომ მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის 21 იანვრიდან აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი (ხელმოწერები გრძელდება).

ჩვენ ვთვლით, რომ ეს ღირსების საკითხია. ისე როგორც ყოველი დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქე, ჩვენც ვთვლით, რომ ღირსება აქვს იმ ხალხს და ქვეყანას, რომელიც იცავს თავის კონსტიტუციას, არ უშვებს ძალაუფლების უზურპაციას და მიტაცებას.

ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად 2013 წლის 20 იანვარს, 13.00 საათზე, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციასთან ორგანიზებას ვუკეთებთ და ვიწყებთ ქვეყნისა და ხალხის ღირსების დაცვის მშვიდობიან შეკრებებს.

ჩვენ ვთვლით, რომ ასეთ სიტუაციაში შეხვედრებსა და კონსულტაციებს ჩვენი მეგობარი ქვეყნების ელჩებთან და საელჩოების წარმომადგენლებთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გამოვთქვამთ მზადყოფნას, თქვენთვის მოსახერხებელ დროს შეგხვდეთ და ამ საკითხზე გაგიზიაროთ ჩვენი მოსაზრებები.

გთხოვთ ჩვენი მომართვის შესახებ საქმის კურსში ჩააყენოთ თქვენი ქვეყნის ხელისუფლება.

პატივისცემით

პრეზიდენტის გადადგომის მემორანდუმით გაერთიანებული 60-ზე მეტი ორგანიზაციის სახელით ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, ჯანო ბაგრატიონი, გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, მიხეილ ანდღულაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, რეზო ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, თამაზ ჟვანია, ომარ მხეიძე, პაატა ცნობილაძე, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, რამაზ ყურაშვილი, ოთარ ვარსიმაშვილი, ელგუჯა გურდული, იური ვაზაგაშვილი, ნათია ავსაჯანიშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი, ანზორ ბაბუხადია, ალეძსი კობაიძე, ავთანდილ იოსელიანი, კობა არაბული, რომან რურუა, ლაშა კალანდაძე, გელა სულუაშვილი, ჯემალ ჯიძია, მარინა კაჭაშვილი, შოთა ჩხეიძე, ვასილ კადეენეცი, გიორგი გაგლოევი, დიმა ჯაიანი, ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი, გია კორკოტაძე,ზურაბ ცინცაძილაძე, ზურაბ მანჯავიძე.

საკონტაქტო პირები:

1. **რეზო ჩხეიძე – მშვიდობის მსოფლიო ელჩი;**
2. **მიხეილ ანდღულაძე – არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ თავმჯდომარე.**
3. **თეიმურაზ შაშიაშვილი – პოლიტიკური პარტია „თეთრები“ თავმჯდომარე;**
4. **პაატა ცნობილაძე – პროფესორი, იურისტთა საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი;**
5. **ზაზა ხატიაშვილი – პროფესორი, ადვოკატთა კავშირის თავმჯდომარე;**
6. **რამაზ ყურაშვილი – პროფესორი, დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის წევრი, სამედიცინო ჟურნალის „დიაბეტი და ჯანმრთელობა“ დამაარსებელი და რედაქტორი.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოზიცია

ძველი სიძულვილის გამო ახალ რეალობებზე უარი არ უნდა ვთქვათ

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (iri.) მიერ უკანასკნელ ჟამს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა: მოსახლეობის 52 % სჯერა, რომ ახალი ხელისუფლება მოაგვარებს რუსეთთან ურთიერთობას, ხოლო რუსეთთან სამომავლო დიალოგს მხარს უჭერს 83 %.

ეს ციფრები აშკარად აჩვენებს, რომ მოსახლეობას სურს და დაინტერესებულია ჩრდილოელ მეზობლებთან გარკვეული ურთიერთობის დამყარებით .

რუსეთის ბაზარზე დაბრუნების პირობა ბატონმა ბ. ივანიშვილმა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს გააჟღერა. ჯერ კიდევ აგვისტოში აჭარაში სიტყვით გამოსვლისას. რაც შემდგომ გაიმეორა კახეთსა და სხვა რეგიონებში სტუმრობისას.

14 დეკემბერს ჟენევის გარეუბანში მოხდა შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, ბატ. გრიგორი კარასინსა და საქართველოს პრემიერ მინისტრის, რუსეთის საკითხებში წარმომადგენლის, ბატ. ზურაბ აბაშიძეს შორის.

ამით ადგილიდან დაიძრა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, ანუ გაჩნდა ნათელი წერტილი ბნელით მოცულ გვირაბის ბოლოს, რომელიც შექმნა ყოფილმა ხელისუფლებამ უგუნური პოლიტიკით.

რუსეთის ხელისუფლება საკუთარ ბაზარს პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად რომ იყენებს, ეს ახალი ამბავი არ არის. მსგავსი გადაწყვეტილებები რუსეთის მთავარი სანიტარის გენადი ონიშჩენკოს ხელით ხორციელდება.

მიუხედავად გარკვეული ბარიერებისა, ახალმა ხელისუფლებამ სცადა ნაბიჯების გადადგმა, რაც არა მხოლოდ ბაზარზე ემბარგოს მოხსნას, არამედ სატრანსპორტო მიმოსვლის, კულტურულ, ჰუმანიტარულ და სხვა ღონისძიებებს მოიცავს .ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ წარმატება, წინსვლა, ანუ ახალი ფურცელი გადაიშალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში? ამ ეტაპზე, ალბათ – არა.

ამჯერად მეტს არც მოველოდით. ფაქტია, პოზიციები გაგებულია.

არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ურუსეთოდ შეუძლებელია აფხაზეთისა და ოსეთის, ანუ ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დაბრუნება. თუმცა, არიან მეორე თვალსაზრისის მომხრენიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რუსეთის გარეშე შესაძლებელია აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი მოლაპარაკება. რომ თანამოძმეებთან უნდა გავაძლიეროთ სახალხო და დიპლომატიური ურთიერთობა. საქართველო მათთვის უნდა გახდეს მიმზიდველი. მოვუხმოთ ნდობის აღდგენის ნაცად ხერხებს, ინოვაციურ მეთოდებს და სხვა.

ერთი ცხადია, რუსეთის ხელისუფლებასა და დუმაში ჯერაც არიან ადამიანები, რომლებიც ოცნებობენ საბჭოთა კავშირის ფორმატში მეზობლებთან ურთიერთობის აღდგენას.

არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ურუსეთოდ შეუძლებელია აფხაზეთისა და ოსეთის, ანუ ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დაბრუნება. თუმცა, არიან მეორე თვალსაზრისის მომხრენიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რუსეთის გარეშე შესაძლებელია აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი მოლაპარაკება. რომ თანამოძმეებთან უნდა გავაძლიეროთ სახალხო და დიპლომატიური ურთიერთობა. საქართველო მათთვის უნდა გახდეს მიმზიდველი. მოვუხმოთ ნდობის აღდგენის ნაცად ხერხებს, ინოვაციურ მეთოდებს და სხვა.

საფრთხე მართლაც არსებობს....

თუმცა, ეს თემა გაცვეთილია. მას მომავალი არ აქვს.

საქართველოს ჩათრევის, მისი იძულებითი მცდელობა გადაახვევინონ არჩეულ გზას, იქნება. თუმცა ყოფილი ხელისუფლების რიტორიკა და ყიჟინი, რომ ივანიშვილი რუსეთის პროექტია და საქართველოს ისე რუსეთის გუბერნიად ყოფნა უქადის, მცდარია.

პოლიტიკის დამკვეთი ხალხია, ის არასდროს ცდება. და ვინც მოინდომებს ფეხქვეშ გათელოს ეს ნება- სურვილი, მას მუდამ საკადრისი მიეზღვება. ეს გარდუვალობაა.

„ნაცებმა“ თავად მოიჭრეს ყოველგვარი გზა ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობისა და დიალოგისა. მათ აკრძალეს რუსული სიმღერები და ფილმები, სკოლაში შეამცირეს რუსული ენის სწავლების პროგრამული მასალა. ამოიღეს მსოფლო კლასიკოსთა ნაწარმოებები და ბიოგრაფიები .ეს მაშინ, როცა ყველა სხვა ენა დაწყებითი კლასებიდან ისწავლება.

ამასთან ფარულად რუსულ კომპანიებს მიყიდეს სტრატეგიული ობიექტები და დღეს იძახიან რუსეთთან ეკონომიური, ჰუმანიტარული და კულტურული ურთიერთობები მიუღებელიაო.

ერთმნიშვნელოვანია, რომ რუსეთის ორბიტაზე საქართველო არ დაბრუნდება. მიუხედავად ამისა ახალი ხელისუფლების ინიციატივას მოჰყვა მოსკოვის დადებითი გაგება, იგრძნობა დამოკიდებულების შერბილება. ეს ცუდი არ არის, თუმცა მათ კარგად იციან, ჩვენი რადიკალურად შემობრუნება ზღაპარია. დუმის დეპუტატები ამბობენ, რომ თურქეთი და ინგლისი ვერ მოგვიტეხს ბედნიერებას, ამიტომ საქართველომ უნდა იფიქროს რუსეთზე, სწორედ რუსეთს შეუძლია, შეასრულოს დადებითი როლი კავკასიაში.

ბელორუსიის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ისიც კი განაცხადა: მე დავუჩოქებ ქართველებს, ოღონდაც ისინი „დესეთეში“ დაბრუნდნენო.

ისტერიის დრო დასრულდა, მუდმივ მოძულეობასა და ქიშპს წერტილი უნდა დაესვას. გადაიშალოს ახალი ურთიერთობების ფურცელი. ეს რეალობაა. ეს გარდუვალობაა. ამას მოითხოვენ დასავლეთელი პარტნიორები. ისიც ცხადია ძველმა ხელისუფლებამ, თბილისის გარდა არსად რაიონებში არ ააშენა პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები, აირჩია იოლი გზა, ტურიზმითა და ტაშ-ფანდურით ვიშოვოთ ფული, რაც კეთილ ზღაპარს გავს. ტურიზმი ისეთი რამ არის. მცირე რყევის შემთხვევაში ტურისტი არ მოვა და დავრჩებით ხახამშრალი. ამიტომ ახალი ხელისუფლების ინიციატივა და სურვილი, ყველა რაიონში აშენდეს საწარმო და მოვიპოვოთ ადგილი ყველაზე მახლობელ და ძლიერ რუსეთის ბაზარზე გამართლებულია და ამ ინიციატივას გაგებით მოეკიდნენ მოსახლეობასთან ერთად, ბიზნესის წარმომადგენლები.

რუსეთის ბაზარი ჩვენთვის ცნობილი და ტრადიციულია, თუმცა მას არ უნდა მიებას პოლიტიკური საკითხები.

დასავლეთი უნდა დარწმუნდეს, რომ „დესეთეს“ თემა საბოლოოდ მკვდარია, რუსეთის მარყუჟში ჩახვევა გამორიცხულია. მათ უნდა დაინახონ რა ლიმიტი არსებობს იმისა, რომ საქართველომ რუსეთთან ილაპარაკოს.

ცხადია, რუსეთი ეცდება ზეგავლენა მოახდინოს ქართულ პოლიტიკაზე. აკი წინა ხელისუფლების პირობებში ადვილად გადასძლია ის ბაგირი, რომელსაც „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ შესვლა ჰქვია. ასე მოჩვენებითი რიხითა და შიშნარევი პათოსით ეჭიდებოდა სააკაშვილის მთავრობა. ვნახეთ რა სასაცილო არგუმენტით სცადეს მოსახლეობის მოტყუება, რომ გადაეფარათ საკუთარი უსუსურობა და უგერგილობა.

ხალხო! გაგიგიათ რაიმე, თუ რა სარგებლობა მოუტანა ე.წ. აფხაზეთს საზღვარზე საერთაშორისი დამკვირვებლების ჩაყენებამ?

ჩვენ კი არ გაგვაბრიყვეს, თავი გაიბითურეს.

ჟენევის გარეუბანში ორთა შეხვედრაზე როგორც ბატონმა ზურაბ აბაშიძემ განმარტა, არ დასმულა ისეთი საკითხები, რომელზეც არსებობს წითელი ხაზი, არც ის თუ მომავალში ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, თუ საქართველო მიაღწევს ემბარგოს მოხსნას, აღდგება სატრანსპორტო მიმოსვლა და ასე შემდეგ, ეს მისასალმებელია.

მხოლოდ ერთია, ეს სურვილის აღსრულება უსასრულოდ არ უნდა გაიწელოს. ჩვენ არ უნდა აღმოვჩნდეთ მცოცავი ანექსიის ხიფათის ქვეშ. რუსეთმა ვერ უნდა მოახერხოს სხვა ქვეყნების ჩვენგან ჩამოცილება. დასაწყისში არა, მაგრამ რუსეთი შემდგომ აუცილებლად ეცდება, შემოგვთავაზოს კონმფრონტაციული წინადადებები.

არ უნდა ავყვეთ ცდუნებას.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, საფრთხე არსებობს. ქართველი ადამიანის სულისკვეთება გამთლიანდეს ქვეყანა, გამოკვეთილია. ჩვენი ეროვნული ღირსება ვერ ითავსებს სხვათა მორჩილებას. თუ მწარედ გვახსოვს რუსეთის იმპერიული ძალადობა. ასევე არ გვავიწყდება თურქებისა და სპარსელების ბარბაროსობა, თუმცა უარს ვერ ვიტყვით მათთან ეკონომიკურ თანამშრომლობასა და კულტურულ ურთიერთობაზე.

საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენს ირგვლივ რადიკალურად შეიცვალა, ახლა სხვა საუკუნეა, სხვა სამყაროა. გლობალიზაციის ცეცხლი გიზგიზებს ირგვლივ, რაც არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომ ძველი სიძულვილის გამო უარის თქმა ახალი რეალობებისადმი შეუძლებელია.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

◎ უკუგდებული შიში

ზუგდიდელებმა სააკაშვილის ცოცხლად დამარხვის სცენა განასახიერეს

ზუგდიდის ცენტრში თეატრალიზებული შოუ მოეწყო. პერფორმანსი, სახელწოდებით „ცოცხალ-მკვდარი მიშა“ საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტის ფიტული ქალაქის ქუჩებში მოატარეს, ასევე, აქციაზე კუბო მიიტანეს, რითაც „სააკაშვილის ცოცხლად დამარხვა“ განასახიერეს. „პროცესიას“ კახა მიქაია მიუძღოდა.

სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ სამეგრელოს ყველა კუთხიდან 1000-ზე მეტი ადამიანი შეიკრება. ისინი პრეზიდენტისა და ახლად დანიშნული გუბერნატორის თენგიზ გუნავას გადადგომას ითხოვდნენ. აქციის მონაწილეებს ნაციონალური რეჟიმის სიმბოლო – ცოცხები გამოეტანათ, რომლებზეც მერაბი შვილის, ადეიშვილის, ახალაიების, ჩიორა თაქთაქიშვილის სურათები იყო განთავსებული.

„დაიცავი საქართველოს“ წევრი კახა მიქაია აცხადებს: ის ფაქტი, რომ სამეგრელოში არ ჩვენები „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიგო, არ ნიშნავს, რომ სამეგრელო მიხეილ სააკაშვილისაა, პირიქით, „მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში დასრულდა“.

„თელო-ღურელი“ მეგრულად ნიშნავს ცოცხალ-მკვდარს, ამდენად, მეგრელებმა დავიტირეთ სააკაშვილი“, – აღნიშნა კახა მიქაიამ **For.ge**-სთან საუბარში. ამასთან, თენგიზ გუნავას თემასაც შეეხო.

„ბრალდებული გუნავა, მთავარი ზონდერი და კრიმინალი, გუბერნატორად რომ დაგვინიშნეს, რა თქმა უნდა, ეს კანონდარღვევაა. პროკურატურა უფრო საფუძვლიანად უნდა დაინტერესდეს გუნავას საქმით. გარდა ამისა, ზუგდიდში ჩამოსული აკაკი ბობოხიძის გამოხდომებმა მეგრელების გაღიზიანება გამოიწვია. ბობოხიძემ ქალებს უთხრა, ცოცხს გაგიკეთებთ უკანო. ამიტომ ბობოხიძის, წიკლაურისა და მინაშვილის ჩამოსვლა ზუგდიდში გამაღიზიანებელია. საბედნიეროდ, სამეგრელომ უკვე გაიღვიძა, შიშის დაძლევის პროცესი გაგრძელდება. ეს შესამჩნევია, თავისუფლების სიომ ზუგდიდშიც დაჰბერა. ნამდვილად ვერ შევეგუებით გუნავებს და სააკაშვილებს. ვფიქრობ, სამეგრელოს საზოგადოება ჩამოიერეცხავს იმ სირცხვილს, რასაც ჰქვია 1 ოქტომბერს ნაციონალების გამარჯვება არჩევნებში“, – აცხადებს კახა მიქაია.

„თელო-ღურელი“ მეგრულად ნიშნავს ცოცხალ-მკვდარს, ამდენად, მეგრელებმა დავიტირეთ სააკაშვილი“, – აღნიშნა კახა მიქაიამ FOR.GE-სთან საუბარში. ამასთან, თენგიზ გუნავას თემასაც შეეხო.

მანვე მირაჟად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სააკაშვილი, თითქოს, ბოლომდე ენდობა მეგრელებს და ზუგდიდშიც აპირებს გადასვლას. მისი აზრით, ზუგდიდში ყველაფერი საპირისპიროდაა და ამიერიდან სააკაშვილი მეგრელებს ვეღარ ენდობა. უფრო მეტიც, მეგრელები შეურაცხყოფილნი არიან სააკაშვილის ქმედებით, რაც მან მიაყენა სამეგრელოს, რადგან სამეგრელოში საბოლოოდ დასრულდა შიშიც, შეურაცხყოფაც და ტერორიც სააკაშვილის მხრიდან.

აქვე კახა მიქაიამ სამეგრელოს „პირველი ზონდერის“ – თენგიზ გუნავას საქმის გამოძიების თხოვნით პროკურატურას მიმართა. კერძოდ, მისი თქმით, ნათელი უნდა მოეფინოს 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებს, როცა მესტიაში თენგიზ გუნავა, ზაზა გოროზიასთან ერთად, მაჟორიტარ დეპუტატებს იარაღის მუქარით აიძულებდა, მოეხსნათ საკუთარი კანდიდატურა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სასარგებლოდ. მაშინ თენგიზ გუნავას ერთადერთი ქალბატონი ნელი ნავერიანი შეეწინააღმდეგა, რის გამოც ნელი ნავერიანს საქმე „შეუკერეს“ და ციხეში ჩასვეს.

კერძოდ, მისი თქმით, 2010 წლის 3 მაისს მესტიაში ჩატარდა წინასაარჩევნო სპეცოპერაცია, სადაც გვიან ღამით ავიდნენ თენგიზ გუნავა, როგორც სამეგრელო-ზემო-სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი და ზაზა გოროზია. მათ აიყვანეს პოლიციელებით სავსე 40 მანქანა, მესტიაში გათიშეს ელექტროენერგია. ამის შემდეგ საქმეში პირადად ნელი ნავერიანი ჩაერია, მოხერხდა ჟურნალისტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირება და იმ ღამით როგორღაც დაიცვეს თავი. ამის შემდეგ ნავერიანი სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. მოტივი დიდი ოდენობით თანხის ჯგუფური გამოძალვა იყო. ამით გააჩუმეს ადამიანი, რომელიც მესტიაში ადგილობრივ ხელისუფლებას მიწების გასხვისების უფლებას არ აძლევდა.

„ძალადობის ეს ფაქტი გადაიღო 14 წლის ბავშვმა, ჯაფარიძემ. კადრებში ფიქსირდება, თუ როგორ გამოდის იარაღიანი სპეცნაზით შემორტყმული გუნავა გამგეობის შენობიდან, ეს კადრები „მაესტრომაც“ გაავრცელა, ყველაფერი აშკარაა და არ ვიცი, რატომ არ იწყება გამოძიება“.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ინფორმაცია

სასამართლოებში 31 632 ამნისტირებული პატიმრის საქმე შევიდა

დღევანდელი მონაცემებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან და პრობაციის სამსახურებიდან სასამართლოებში 31 632 ამნისტირებული პატიმრის საქმე შევიდა. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე უზენაესი სასამართლოს პრეს-სპიკერმა, ნათია ცხადაიამ განაცხადა. მისი თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან შესული საქმეების საერთო რაოდენობაა 17 377. შესაბამისად, პირველი ინსტაციის 24 სასამართლოდან ერთზე საშუალოდ 724 საქმე გადანაწილდა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განცხადება

პოზიტივი თუ საფრთხე?

რით გვასარგებლებს ან დაგვაზარალებს სომხეთ-რუსეთის რკინიგზა აფხაზეთის გავლით?

სომხეთში ვიზიტად მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ტიგრან სარქისიანთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აფხაზეთის გავლით რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის აღდგენა შესაძლებელია და აღნიშნა, — „ჩვენ ამ პრობლემის სწრაფად გადაწყვეტაზე უნდა ვიმუშაოთ“.

„თქვენ იცით, რომ რუსეთთან ჩვენ გვქონდა პრობლემები, რომლებიც ახლაც რჩება, თუმცა, ჩვენ ვმუშაობთ, რათა ისინი რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს. ჩვენ რთული ურთიერთობა გვაქვს ჩვენს აფხაზ ძმებთანაც, თუმცა, სარკინიგზო ხაზის მუშაობის აღდგენის საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს“, — განაცხადა პრემიერმა.

თავის მხრივ, ტიგრან სარქისიანმა აღნიშნა, რომ სომხეთი აღნიშნული სარკინიგზო ხაზის აღდგენაზე იმუშავებს და ამ საკითხში საკუთარ აქტიურ პოზიციას დაიკავებს.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივას საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი გამოეხმაურა. დეპუტატს ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა აქვს და ამბობს, რომ ამ კითხვებს იდეის ავტორმა უნდა უპასუხოს.

„ეშმაკი არის დეტალებში. ეს დეტალებია სწორედ, რომელიც ართულებს, ან აიოლებს ყველაფერს. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვები — რა პირობით მოხდება ამ სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა, ქვეყნის ძირეულ, სტრატეგიულ ინტერესებს ეთანხმება ეს ყოველივე, თუ პირიქით? როგორ იქნება დევნილების საკითხი, როგორ იქნება სტატუსის საკითხი და, რაც მთავარია, როგორ იქნება დასავლეთში ინტეგრაციის საკითხი? მაინტერესებს, კიდევ რა აღდგება სტალინის ძეგლთან ერთად?! რაც შეეხება სამომავლოდ, აზერბაიჯანთან ურთიერთობას, ამაზე შეკითხვას თავად იდეის ინიციატორმა უნდა უპასუხოს“, — განაცხადა „ივერონთან“ საუბარში დავით დარჩიაშვილმა.

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ემზარ ჯგერენაია აცხადებს, რომ რუსეთი მიზანდასახულად აშენებს უზარმაზარ კედელს ენგურზე, რათა ჩვენ და აფხაზები ერთმანეთს დაგვაშოროს, ამაში იგულისხმება კედელს იქით მოხვედრილი ეთნიკური ქართველებიც და ეთნიკური აფხაზებიც. ამიტომ, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ჩვენი ერთადერთი გამოსავალია, აფხაზებთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირები ვიქონიოთ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამას ყველანაირად ეწინააღმდეგება.

„ამ პირდაპირ ეკონომიკურ კავშირებს შემდგომში პირდაპირი დიალოგიც მოჰყვება. ამიტომ, ჩვენი მიზანია, აფხაზებთან ეს პირდაპირი ეკონომიკური ურთიერთობები გავაღრმავოთ, მათთან საერთო საქმე ვიქონიოთ, რადგან სხვა გზა ამ ეტაპზე არ არსებობს გარდა იმისა, თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რუსეთში რაიმე ცვლილებებს არ დაველოდებით. ამდენად, ეს გადაუდებელი ამოცანაა, რადგან, რაც გადის დრო, ჩვენ სულ უფრო ვშორდებით აფხაზებს“, — აცხადებს ექსპერტი.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლების მხრიდან საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს, ემზარ ჯგერენაია აცხადებს, რომ დასავლეთში ინტეგრაციის თემა სუფთა სპეკულაციაა, რადგან დასავლეთი საქართველოს აფხაზეთთან და რუსეთთან დიალოგისკენ მუდმივად მოუწოდებს.

ემზარ ჯგერენაია საუბრობს ერთ-ერთი საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის ეგიდით გამართულ შეხვედრებზე, სადაც ქართული და აფხაზური მხარეები ერთმანეთს ხვდებიან და სხვადასხვა საკითხზე მსჯელობენ. ექსპერტის თქმით, ამ შეხვედრებში თვითონაც მონაწილეობს და ამბობს, რომ საერთო საზოგადოება მზად არის, ასეთი ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისათვის.

„საერთო საზოგადოება მზად არის, რომ ეს ეკონომიკური კავშირები, ანუ ე.წ. სადემარკაციო ხაზზე არსებული კავშირები გაღრმავდეს და ამისთვის ფულის დასაზარჯადაც და საქმის გასაკეთებლადაც არიან მზად. ამის კონკრეტული მაგალითებიც გვაქვს ჩაის წარმოებაში, თაფლის წარმოებაში და სხვადასხვა პროექტებში. საკმაოდ ინტენსიურია მკურნალობის თემები, ანუ პაციენტების აქეთ გადმოყვანა, ასევე ეთნიკური აფხაზების სწავლება და ა.შ. ამ მხრივ, მათ ხელს არავინ უშლის ხელს“, — აღნიშნავს ექსპერტი.

მისი თქმით, აქ საუბარია არა რომელიმე მხარის მიერ რაიმე დათმობებზე წასვლაზე, არამედ იგულისხმება წმინდა ეკონომიკური და სხვა ტიპის თანამშრომლობა, ასევე, ამ თანამშრომლობის ფარგლებში პირდაპირი დიალოგი, რაშიც ახალგაზრდებიც უნდა მონაწილეობდნენ. ასევე, საუბარია სამეცნიერო და პედაგოგიურ წრეებს შორის თანამშრომლობაზე, რათა მათ შორის მოხდეს კურიკულუმების, სილაბუსების, სახელმძღვანელოების გაცვლა და აზრთა გაზიარება, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ იკრძალება.

ექსპერტი არ ფიქრობს, რომ დასავლეთის ჯანსაღი ძალები საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პრორუსულობასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვებს გამოთქვამდნენ.

საგარეო ურთიერთობების საკითხებში ექსპერტი ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ, როდესაც საუბარია რეგიონული მნიშვნელობის პროექტებზე, რომლებმაც რეგიონის სხვა ქვეყნებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს, ასეთ შემთხვევებში უკონსულტაციოდ, ცალმხრივად გაჟღერებულ ინიციატივებს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. მისი თქმით, აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ აქამდე არსებული ტენდენცია, როდესაც რეგიონის ყველა ქვეყანასთან მეგობრულ ურთიერთობებში მკაფიო ბალანსის დაცვა შეგვეძლო და ასეთმა ცალმხრივმა ინიციატივებმა ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობა არ უნდა გაგვიფუჭოს და რეგიონში სიტუაცია არ უნდა დაძაბოს.

„კონკრეტულად ამ რკინიგზას ჩვენსა და აფხაზეთთან მიმართებაში რაც შეეხება, რა თქმა უნდა, აქაც დეტალებში ძალიან ბევრი საკითხია. იგივე - როგორ იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაკვეთის პროცედურა დარეგულირებული, ხომ არ გახდება აფხაზეთის საოკუპაციო ხაზი საქართველოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი და ა.შ. ეს ყველაფერი ძალიან სერიოზული მუშაობის და კონსულტაციების საგანი უნდა გახდეს და სანამ ეს საკითხები არ მოწესრიგდება, ასე ერთმნიშვნელოვნად ამაზე ინიციატივით გამოსვლა მცდარად მიმაჩნია“, — აღნიშნავს ელენე ხოშტარია.

ზოგადად მას მიაჩნია, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რაც საქართველოს მოსახლეობას ჩვენს თანამოქალაქე აფხაზებსა თუ ოსებთან დააახლოებს, ანუ ნდობის აღდგენისკენ მიმართული ნებისმიერი ინიციატივა (ეკონომიკური, საგანმანათლებლო თუ სოციალური), ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქ არის ასევე წითელი ხაზი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე გადის. ამიტომ, ნებისმიერი ის პროექტი, რომელიც ნდობის აღდგენასთან ერთად ზიანს მიაყენებს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ან ოკუპირებული ტერიტორიების ლეგიტიმაციას მოახდენს, საქართველოსთვის საზიანო იქნება.

„ეს არის ძალიან აუცილებელი ბალანსი, რომელიც ჩვენ უნდა დავიცვათ. თუ ნდობის აღდგენა რაიმე მსგავსში გადაიზარდა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ეს დაუშვებელია. ამიტომ აუცილებლად უნდა დავიცვათ ეს ბალანსი — ერთი მხრივ, ნდობის აღდგენა, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. გარდა ამისა, ამ კონკრეტულ ინიციატივასთან დაკავშირებით ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გარდა, გასათვალისწინებელია ასევე რეგიონული ასპექტი. ვფიქრობ, რომ მოლაპარაკებების შედეგად, შესაძლოა, რაიმე ფორმულა გამოიძებნოს. მაგალითად, მსო-სთან დაკავშირებით გარკვეული ფორმულის მოძებნა შევძელით. ზოგადადაც მოლაპარაკებებში ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. ამდენად, ცალმხრივად ამ ინიციატივაზე უარი, რა თქმა უნდა, არ უნდა ითქვას, მაგრამ ასე ცალმხრივად, უკონსულტაციოდ ამ თემის წამოწევა, შეცდომად მიმაჩნია“, — აცხადებს ექსპერტი.

რუსუდან უშიკიშვილი

◎ წკეპლიკა

ქამი დაკავებისა და ქამი დაგირავებისა

დიდ პირველი ოქტომბრის ანტინაცურ რევოლუციას (იგულისხმება ყუთების მშვიდობიანი რევოლუცია) მალე მოჰყვა არცთუ მშვიდობიანი დაპატიმრებები და, შესაბამისად, გახშირდა სიტყვათხმარება: ბრალდებული, გირაო, მსჯავრდებული... თვალმა არ მომითმინა და ლექსიკონებში ჩავიხედე — განმარტებითსა თუ ორთოგრაფიულში. თურმე „მსჯავრდებული“, როგორც ორთოგრაფიულმა „მითხრა“, ფორმით სწორი არც ყოფილა და „მსჯავრდადებული“ უნდა, მაგრამ მსჯავრდებული ისე ფესვგადგმულია (და იმდენია!), რომ ახლა ამას აღარაფერი არ ეშველება და დავტოვოთ...

განმარტებითი კი გვიხსნის, რომ ბრალდებული სამართალში მიცემული პირია, ისაა, ვისაც ბრალი ედება; მსჯავრდადებული („ჩვენებურად“ მსჯავრდებული) — ვისაც მიუსაჯეს რაიმე სასჯელი, მსჯავრი დასდეს... პოსტნაცურ ჟამსა შიგან საქმე (საქმეები!) ისე წავიდა, რომ თითქმის ყველა დანაშაული გირავდება, ფულით გამოისყიდება და ეს ჩვენი ბრალდებულები, — ზოგი 5000, ზოგი 25000, ზოგი 50000 ლარის გირაოს გადახდის შემდეგ, სასამართლოს დარბაზშივე თავისუფლდებიან.

იმათი რიცხვი რაკი არცთუ მცირეა, ეგებ ღირდეს სპეციალური ტერმინის შემოღება — გირაოდებული. ამ ცნების (არა მცნების, როგორც ხშირად ერევათ ხოლმე) განსაზღვრება სულ ადვილია: გირაოდებული — ვისაც გირაო ედება, გარკვეული თანხა შეაწერეს, ფული მიუსაჯეს და დაადებინეს... ამრიგად, გირაოდებული ვანო მერაბიშვილი, გირაოდებული ირაკლი ოქრუაშვილი, გირაოდებული გიორგი კალანდაძე, ესა, ისა... როგორ „ჟღერს“, ჰა?!.. არ ვიცი, მოხვდება თუ არა ეს „ნოვაცია“ (რა ეშმაკმა მოაცია, არა?..) მომავალ გამოცემაში განმარტებითი ლექსიკონისა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ ბრალდებულიდან გირაოდებულამდე სულაც არ არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი...

ბერდია ბედოიძე

◎ ინფორმაცია

თუ ეკონომიკური ამნისტია ინვესტორებს შეუქმნის უკეთეს განწყობას პროცესებისადმი, რატომაც არა, მისაღებია

სანამ რაიმე დასკვნებს გავაკეთებთ, ჯერ ჯობს ჩავიხედოთ, რა წერია პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივაში — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „მე-9 არხზე“ ეკა ბერიძის გადაცემა „მთავარ კითხვაში“ სტუმრობისას განაცხადა, როდესაც კომენტარი გააკეთა ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შესახებ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივაზე.

წულუკიანის განცხადებით, მიესალმება იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტი იყენებს თავის საკონსტიტუციო უფლებას, საკანონმდებლო ინიციატივით შევიდეს პარლამენტში.

— ნებისმიერი პრეზიდენტი, რომელსაც სურს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება ქვეყანაში, სწორედ ასე უნდა იქცეოდეს. უბრალოდ გასაკვირია, რომ ეს ინიციატივები მოდის ახლა. თუმცა, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. თუკი ეკონომიკური ამნისტია ინვესტორებს შეუქმნის უკეთეს განწყობას ეკონომიკური პროცესებისადმი, რატომაც არა. მაგრამ, მანამ, სანამ რაიმე დასკვნებს გავაკეთებთ, ჯობს ჩავიხედოთ, რა წერია პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივაში, რომელიც, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, ჯერ ზეპირი გამონათქვამების შედეგად არის ცნობილი, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, სანამ მიხეილ სააკაშვილი ისაუბრებდა ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციაზე, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ამის შესახებ, ძალიან ბევრმა პროკურორმა გამოთქვა თავისი აზრი.

— მათ თქვეს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც ბატონი ზურაბ ადეიშვილი იყო მინისტრი და ამავე დროს პროკურორი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ტენდენცია იყო სწორედ იქითკენ, რომ ნებისმიერი ეკონომიკური ხასიათის გადაცდომა თუ კანონშეუსაბამობა ავტომატურად კვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის კუთხით. პროკურორები, რომლებიც გათავისუფლდნენ იმ წნეხისგან, რომ განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება არ ჰქონდათ, პირადად ჩემთან საუბარში ამბობდნენ, რომ კარგი იქნებოდა — თუ არა უმრავლეს შემთხვევაში, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, მოხდეს დეკრიმინალიზაცია, — განაცხადა მინისტრმა.

წულუკიანმა აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა შესწავლის საკითხია და ამაზე პროკურატურა მსჯელობს.

ამასთან, მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ჯერ უნდა ნახონ, როგორ შეადგინა პრეზიდენტმა თავისი საკანონმდებლო ინიციატივა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მოგონება

ჩვენი გაზეთის 2012 წლის 4 დეკემბრის ნომერში დავბეჭდეთ დღემდე უცნობი დოკუმენტები: სვეტლანა ალილუევას წერილი (1986 წ.) სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის მ.ს. გორბაჩოვისადმი და იმავე წელს დაწერილი მისივე ანდერძი, 2013 წლის 12 იანვარს კი ლეონიდ პრივალოვის მოგონება ჭაბუკ იაკობ ჯუღაშვილთან შეხვედრებზე 1920-იან წლებში.

ამ პუბლიკაციებმა, რომლებიც რედაქციამ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის პირად არქივში მოიძია, მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამან წაგვახალისა გაგვეგრძელებინა ბეჭდვა.

ამჯერად ბატონ ჯუმბერის ნებართვით გაგაცნობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორის, პროფესორ მამია გოგოლიშვილის (1924–2006 წ.წ.) მოგონებას 1945 წლის დეკემბერში გაგრაში ი.ბ. სტალინთან სტუმრობის შესახებ.

„სხვა, ბიჭებო, ქვეყანაზე?“

1945 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ისევ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ვმუშაობდი მებაღეობის მთავარი სამმართველოს უფროსად. დილით ადრე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ამხ. სიმონ ჭელიძე მეძახის – ახლავე მოდი ჩემთანო. მეგონა უსიამოვნო შეხვედრა მექნებოდა, რადგან წინადღით ძალიან სერიოზული დავა გვქონდა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, ამხ. სიმონი ძალიან გაჯავრდა ჩემზე და დამემუქრა, ამას არ გაპატიებო. მოხდა სასწაული, თურმე ნუ იტყვით, მას მოსწონებია ჩემი პრინციპულობა და საკითხის საფუძვლიანი ცოდნა, ამიტომაც გადაუწყვეტია თავის მოადგილედ ჩემი აყვანა. მკაცრ შეხვედრას ველოდი და მეც ცივი სახით და უხასიათოდ შევაღე კარი, მაგრამ რას ვხედავ, ამხანაგი სიმონი მიღიმის და სკამს მთავაზობს, დაჯექიო. იგი ასევე ღიმილით იწყებს: „შენ გუშინ დაამტკიცე შენი ღრმა ცოდნა და სპეციალისტის პრინციპული დამოკიდებულება საქმისადმი. მე უკვე შევუთანხმდი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ამხ. კანდიდ ჩარკვიანს და მეორე მდივანს ამხ. მიხეილ ბარამიას, რომ შენ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ აგიყვანოთ. მაგრამ ჯერ არაფერი თქვა, ამხ. ჩარკვიანი ან ბარამია თვითონ დაგიძახებენ და მერე ბიურო დაგამტკიცებს“. აღარ ვიცოდი რა მეთქვა, საბოლოოდ დავრწმუნდი ამ ადამიანის უმწიკვლობაში, რადგან ჩემი წინააღმდეგობა კი არ იწყინა, მოიწონა.

მეორე დღეს, დილით მეძახის ამხ. კ.ნ. ჩარკვიანი და მეუბნება: დღეს ამხ. ავქსენტი რაფავასთან და სიმონ ხოშტარიასთან ერთად წახვალთ გორში და თან ერთი მეხილე, კარგი, გამოცდილი სპეციალისტი (ალბათ ალექსი ბუჩუკური აჯობებს), თან წაიყვანე, მეორე აგრონომი მევენახე სპარტაკ მამაცაშვილი იქ, გორში დაგხვდებათო. მართალი გითხრათ, არ მესიამოვნა, რადგან ძალიან გაციებული ვიყავი, სურდო მქონდა, მაგრამ უარი ვერა ვთქვი.

გორში ჩასვლისას მე და ალექსი ბუჩუკურს მოგვცეს დავალება, საცდელ მეურნეობაში შეგვერჩია 16 ძირი კარგი, ახალგაზრდა გორული ატამი და გაგრაში მთავრობის აგარაკზე დასარგავად მოგვემზადებინა. მცენარეების კომით ამოღებას მთელი დღე მოვუნდით, აგრონომ ალექსი ბუჩუკურს ვუთხარი „ავად ვარ, მცენარეებს შენ გაყვები-მეთქი“. ალექსიმ მარტო წასვლაზე უარი განაცხადა, თან დააყოლა, დღეს იქ მატარებლით უკვე წავიდა ჩემზე უკეთესი სპეციალისტი, იგი კარგი მევენახეცაა და კარგი მეხილეც...

ღამის 12 საათია და ამხ. კ. ჩარკვიანი რეკავს რაიკომის პირველ მდივან გიორგი მიხანაშვილთან, გვამოწმებს თუ წავედით. როცა გაიგო, რომ მე და ბუჩუკური არ წავსულვართ, იწყინა, გამომიძახა ტელეფონთან და მითხრა, ახლავე წახვალთ ორივენიო. იქ მარტო ხეების დარგვა როდია, თქვენი ჩასვლაც აუცილებელია.

ღამის 2 საათი იქნებოდა გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. მიხანაშვილმა და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მიხეილ ბუჯიაშვილმა ჩაგვსვეს სპეციალურად მომზადებული და გამოგზავნილი ელმავალის შესანიშნავად მოწყობილ ოთახში (თურმე ასეთიც ჰქონია ელმავალს), საგზლად მოგვართვეს: ერთი ბოცა ღვინო, ერთი შემწვარი გოჭი და ერთი შემწვარი ინდაური (საიდან მოახერხეს იმ შუაღამეს, არ ვიცი). ჩვენი ელმავალი გაუჩერებლივ მიდიოდა თუ შემხვედრი მატარებელი არ შეაჩერებდა. სამტრედიის იქით ელექტრომატარებელი აღარ მიდიოდა, ჩვენი მანქანით გაგზავნა მოინდომა იქაურმა რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გაბუნიამ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ომი ახალი დამთავრებული იყო, გზები – დანგრეული და არ ურჩიეს.

ჩვენ ჩაგვსვეს ძალიან მაღალ დონეზე მორთულ ორთქმავლის ოთახში და გაგრაში გაგვისტუმრეს.

ვგრძნობდით, რომ მთელი ტრასა გაფრთხილებული იყო, რათა შეუფერხებლად გვევლო. სოხუმში დაგვიხვდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ამხ. აკაკი მგელაძე და უშიშროების მინისტრი ვარლამ კაკუჩაია. მიუხედავად ზამთრისა, მათ დაგვახვედრეს კიტრი, პამიდორი და სხვა საგზალი, ეს ყველაფერი კეთდებოდა იმ დროს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ამხ. კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანის დიდი ადამიანური მზრუნველობის შედეგად, ის აფრთხილებდა ყველას, სადაც ჩვენ უნდა გაგვევლო, რომ შეფერხება არ ყოფილიყო.

24 დეკემბრის საღამოს გაგრაში ვართ, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეცსახლში. ცოტა ხნის დასვენების შემდეგ გვაფრთხილებენ, რომ ამ საღამოთი უნდა დავრგათ ჩვენი ჩამოტანილი ატმები. აგრონომი სპარტაკ მამაცაშვილი ჯერ არ გვენახა, რადგან ის სხვა აგარაკზე ჰყავდათ წაყვანილი, ელექტრონით განათებულ საკავშირო მთავრობის სპეცაგარაკის ნაკვეთზე ღამის 2 საათამდე მე და ალექსი ბუჩუკურმა, საკმაო რაოდენობის ჯარისკაცების დახმარებით და იმ დროს საქართველოს უშიშროების მინისტრის, გენერალ ავქსენტი რაფავას და ამავე სამინისტროს გენერალ მიჩურინის მონაწილეობით დავრგეთ ეს ხეები. მაგრამ ერთ-ერთის დარგვის დროს, ეს თითქმის ტონიანი კომით ხე ჯარისკაცებმა შემთხვევით შემატოვეს ხელში, რამაც დამიზიანა წელი, ამან ლოგინად ჩამაგდო. როგორ შეიძლება დავივიწყო ის დიდი ზრუნვა, რაც ამხ. კ. ჩარკვიანმა გამოიჩინა თბილისიდან მაშინ ჩემზე. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მეოთხე-მეხუთე დღეს ფეხზე წამოვმდგარიყავი.

გაგრაში ჩასვლის მეორე დღესვე შემოგვიერთეს ჩემთვის მანამდე უცნობი, მეტად სიმპატიური და გონიერი, გამოცდილი აგრონომი სპარტაკ მამაცაშვილი. გამართლდა ბუჩუკურის სიტყვა: იგი მართლაც უნივერსალური, მრავალდარგოვანი მევენახეც იყო და მეხილეც.

გაგრაში ყოფნის მესამე დღეს ჩემი მატარებელში მოთავსება და თბილისში წამოსვლა უკვე შეიძლებოდა, ამაზე ძალიან ზრუნავდნენ ალექსი ბუჩუკური და სპარტაკ მამაცაშვილი. ჩვენ კი თბილისში წამოსვლაზე უარს გვეუბნებოდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ კიდევ იყო იქ რაღაც გასაკეთებელი. მე კი, როგორც პარტიის წევრს, უშიშროების მინისტრმა, გენერალმა რაფავამ მითხრა: „ამ საქმეს მე არ განვაგებ (მისი სიყტვებია), დირიჟორია ამხ. კანდიდ ჩარკვიანი, როცა მეტყვის, იმ დღეს გიყიდით ბილეთს და გაგიშვებთ თბილისში, მხოლოდ ვფიქრობ, ამხ. სტალინს უნდა თქვენთან შეხვედრა, მაგარ ამის შესახებ ჯერჯერობით არავის უთხრათ“.

ერთ საღამოს სამივენი ზღვისპირას გავედით სასეირნოდ. ამ ორ ტიტან აგრონომს მაგარი დავა ჰქონდა გაჩაღებული მეხილეობის რაღაც საკითხებზე, სპარტაკი ეუბნებოდა: დიდი მეხილე ხარ, ჩემო ალექსი, მაგრამ ამაში სწორი არა ხარო. ამ დროს თავს დაგვადგა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი (გვარი არ მახსოვს) და გვითხრა „დაამთავრეთ დავა, საჩქაროდ წამოდით, მინისტრი გეძახითო“.

აგარაკზე ასვლისთანავე გენერალი რაფავა გვეკითხება, ქალაქში წვერი რატომ არ გაიპარსეთო. გაგრაში იმ დროს თურმე სულ ერთი პარიკმახერი იყო და ისიც ქორწილში წასულა. არც ერთმა უსაფრთხო სამართებლის ხმარება არ ვიცოდით, რას იზამდნენ და თვითონ მინისტრმა გაგვპარსა სამივე თავისი ხელით და გვითხრა: ახლა ჩვენ მივდივართ ამხ. სტალინთან და იცოდეთ არ დაიბნეთ, თქვენ უნდა გააცნოთ ამხ. სტალინს საქართველოს მეხილეობა, მევენახეობა და სუბტროპიკული კულტურები, მათი მდგომარეობა და პერსპექტივები.

საღამოს 22 საათი და 40 წუთია, შევედით სტალინის ოთხოთახიან ფიცრულ, სრულიად უბრალო სახლში, სახლი მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე იდგა, შესასვლელში კიბის ორივე მხარეზე თითო ძირი მსხმოიარე ფორთოხალი ხარობდა.

ჩვენ ყოველგვარი გამყოლის გარეშე შეგვიშვეს ოთახებში, წინ მიგვიძღოდა ავქსენტი რაფავა, შევდივართ ერთ-ერთ შედარებით მოგრძო, ალბათ 30-35 კვადრატულმეტრიან ოთახში, ამავე ოთახში დადის ამხანაგი სტალინი და თან სუფრას აწყობს, ხელში უჭირავს დანა-ჩანგალი და ხმადაბლა ამბობს: „ეტო სუდა, ეტო სუდა“ და მაგიდაზე ალაგებს დანა-ჩანგლებს. ამ დროს შემობრუნდება ჩვენკენ და მოგვმართავს „ოოო, მოხვედით ჩვენებურებო?“ ა. რაფავამ წარგვადგინა: – ამხ. ალექსი ბუჩუკური, გამოჩენილი მეხილე, ამხ. სპარტაკ მამაცაშვილი, გამოჩენილი აგრონომი მევენახე და ახალგაზრდა სპეციალისტი, ისიც უკვე ცნობილი სუბტროპიკოსი მამია გოგოლიშვილი!..

ამხანაგმა სტალინმა პირდაპირ მაგიდასთან მიგვიწვია, რადგან იქ მეტი სასტუმრო და სავარძლებით მორთული დარბაზი არ იყო. დავსხედით, ამხანაგი სტალინი გვათვალიერებს და ეღიმება ჩვენს დიდ სიჩუმეზე.

– „სხვა, ბიჭებო, რა ამბავია ქვეყანაზე?“

ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ გაკვირვებულებმა, აბა, სტალინს ჩვენ რას ვეტყვით თუ რა ამბავია ქვეყანაზე? ცოტა ხანი და კიდევ გაიმეორა იგივე, რაკი პასუხი ვერ მიიღო, რაფავას მიუბრუნდა: „– მე კოტეს ვთხოვე სპეციალისტები გამოეგზავნა ჩემთვის და არა მუნჯები!“ რაფავა შემცბარი წამოდგა ფეხზე და უთხრა: – „იოსებ ბესარიონის-ძევ, ესენი არიან ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი სპეციალისტები, მაგრამ ერიდებათ თქვენი!“

– „ჰოო, რაკი ერიდებათ, ახლა თითო კონიაკს დავალევინებ და ალაპარაკდებიან, თუმცა კარგი ქართული არაყიცა გვაქვს, თუ არ გასინჯავთ, მერე ინანებთ“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არჩევის თავი არ გვქონდა და ვარჩიეთ თითო კონიაკი დაგველია.

– „ბიჭებო, რომელი ღვინით ისიამოვნებთ?“

ამ დროს ჩვენს წინ თელიანი იდგა და ჩვენც ის ვარჩიეთ. ამხანაგი სტალინი იწყებს ჩვენს გაცნობას ცალ-ცალკე, იწყებს სპარტაკ მამაცაშვილიდან:

– „თქვენ რა გვარი ხართ?“

– „მამაცაშვილი ქართლიდან, ძირითადად ვენახზე ვმუშაობ, ისე, მოგეხსენებათ რაიონი, რაზეც საჭირო ხარ, აგრონომმა იმას უნდა უშველო“.

– „თქვენა? – ეკითხება ალექსი ბუჩუკურს.

– „ალექსი ბუჩუკური გახლავართ, წარმოშობით გორიდან ვარ, მეხილე აგრონომი, ახლა სამინისტროში მთავარ მეხილედ ვმუშაობ“.

ი. სტალინი: – „ჰო, ბუჩუკურები გორში გამიგონია, ხოლო მამაცაშვილები ქართლელები არიან, თუ არ ვცდები, თავადები, არა?“

ამ სიტყვებმა ჩვენ მეგობარს ფერი შეუცვალა, იფიქრა სტალინი და მის წინ თავადი, – ვაი შენს სპარტაკსო: – „არა იოსებ ბესარიონის-ძევ, კი ამბობენ, რომ მამაცაშვილები თავადები ყოფილან, მაგრამ ჩვენ გლეხები ვართ“.

ბელადს არ გამოეპარა სტუმრის ეს შეცბუნება და ბუჩუკურს მიმართა: – „თავადები ცუდი ხალხი არ იყვნენ, რას იტყვი, ბუჩუკურო?“

აქ ალექსი ჩავარდა საგონებელში, ვერ ბედავს თქვას, თავადები კარგები იყვნენო, ცუდებიო – ამასაც ვერ ამბობს. ამხ. სტალინმა ხომ თქვა, ცუდი ხალხი არ იყვნენო, მაშ როგორ მოიქცეს? ბოლოს თქვა – „ვერაფერს ვიტყვიო“. მაგრამ ამ დროს ამხ. სტალინმა წამოიწყო:

– „თავადები არ იყვნენ ცუდები, წეღან თქვენ რომ აქ ღვინოებს არჩევდით, ვინ შექმნა ის? თავად-აზნაურობამ! ქართული დამწერლობა – თავად-აზნაურობამ! ქართული დიდი კულტურა, რომელსაც დასავლეთ ევროპა ებღაუჭებოდა – თავად-აზნაურობამ! დაბოლოს, რევოლუციის წინამძღოლების უმეტესობა თავად-აზნაურობიდან იყვნენ გამოსულები, მათ აიყოლიეს მუშათა და გლეხთა კლასები და მოახდინეს რევოლუცია, ოღონდ თავადებმა ბოლოს ძალიან აურიეს, საჩქმე მოითხოვეს, ჩვენ ვერ მივართვით და ჩვენც ავურიეთ!“.

სუფრასთან სულ ხუთი კაცი ვისხედით, მაგრამ ამხ. სტალინს თამადა არ აურჩევია, თვითოვნე დაიწყო თამადობა, სულ ბოლომდე ვსვამდით პატარა 50-გრამიანი ჭიქებით, სმა ქეიფის ხასიათს არ ატარებდა, არამედ თითო ჭიქის შემდეგ თავისი სპეციალობის მიხედვით რომელიმე ჩვენგანი დაიწყებდა საუბარს, აქ კი ისე მოხდა, რომ პირველი მე მკითხა: – „თქვენ საიდან ხართ?“

მოვახსენე, რომ ქობულეთიდან ვიყავი.

– „მაშ, თქვენ სუბტროპიკოსი იქნებით როგორც ქობულეთელი, თუ ამ დარგის განათლებაც გაქვთ?“

მოვახსენე, რომ „ქობულეთელიც ვარ და სუბტროპიკული ფაკულტეტიც მაქვს დამთავრებული“.

– „მაშ ნამდვილი სუბტროპიკოსი ყოფილიხართ“.

შემდეგ ამხ. სტალინი წამოდგა ფეხზე და პირველი ჭიქა ღვინით ლენინის სადღეგრძელო წარმოსთქვა, – „მოდით, ჩვენებურებო, ამ ჭიქით დიდ ლენინს გაუმარჯოს, როგორც ცოცხალს. იგი მუდამ იცოცხლებს, მანამ ქვეყნად კაცობრიობა იარსებებს!“

ამის შემდეგ გააგრძელა ჩვენთან საუბარი და მითხრა:

– „კოლხეთი 1,5 მილიონი ჰექტარია, რატომ ანვითარებთ ასე ნელა თქვენ სუბტროპიკულ კულტურებს?“

– იოსებ ბესარიონის-ძევ, – ვუპასუხე მე, – „მართალია კოლხეთი 1,5 მილიონი ჰექტარია, მაგრამ აქ დასახლებულია აჭარის, აფხაზეთის, გურიის და სამეგრელოს მოსახლეობა, აქ განლაგებულია მსოფლიოში განთქმული ჩვენი კურორტები და სხვა მრავალი, გარდა ამისა, იოსებ ბესარიონის-ძევ, ძალიან ნელა მიდის კოლხეთის ათვისებაც და ესეც ხელს უშლის ამ კულტურების განვითარებას“.

შემდეგ ამხ. სტალინი მეკითხება: – „რატომ არიან თქვენი სპეციალისტები წინააღმდეგი, რომ ჰექტარზე 1000 ძირი ციტრუსი დაირგას?“

მე მოვახსენე:

– „დარგვა შეიძლება, მაგრამ ალბათ ნამდვილი ფორთოხლის მაგიერ, წვრილ, ტყემალივით ფორთოხალს მოვკრეფთ“ და დავუსახელე ჩემი მასწავლებელი, დოცენტი მიხეილ ტაბლიაშვილი, რომელმაც დიდი შრომა გასწია ციტრუსების აგროტექნიკის განვითარების საქმეში და ახლა ჩაქვიდან თბილისში ინსტიტუტში გადმოიყვანეს, სტუდენტობას ასწავლის და თუ ხელფასის პირობები არ გაუუმჯობესეს და ბინა არ მისცეს, ალბათ ისევ ჩაქვში დაბრუნდებამეთქი.

მერე ამხ. სტალინმა მკითხა: „მაინც რომელი ფორთოხალი სჯობს, რომ გავამრავლოთ?“

მე ვუპასუხე: – „იოსებ ბესარიონის-ძევ, ალბათ ვაშინგტონ ნაველი და ჩვენი, ადგილობრივი „აჭარული“, თუმცა თქვენს შემოსასვლელში, კიბის ორივე მხარეს თურქული ფორთოხალი გირგიათ“.

მას გაეცინა: – „არა გრცხვენიათ? თურქები ამ ფორთოხალს ბათუმურას ეძახიან, თქვენ კი – თურქულს, სად არის სამართალი, ბათუმი ხომ საქართველოს ულამაზესი ზღვისპირა ქალაქია!“ მერე კი სპარტაკს მიუბრუნდა: – „აბა რას მეტყვით ქართლ-კახეთის ვენახებზე, ხომ კარგად გამოიყურება?“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მოგონება

რა ამბავია

შეხვედრა გაგრაში ი.ბ. სტალინთან

სპარტაკი ძალიან დინჯად და დამაჯერებლად ეუბნება: – „იოსებ ბესარიონის-ძევ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა გლეხმა ვენახი, მისი მოვლა და ყადრი ყველაზე უკეთ იცის, ალბათ ჯიშებიც საკმაოდ პროდუქტიული გვაქვს, კახეთის ვენახებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ მუშახელი ძალიან გვაკლია, ომმა დიდი ზიანი მოგვაყენა, ჩვენს ვენახებს მხოლოდ ქალები და მოხუცი კოლმეურნეები თუ უვლიან“.

მაშინ ამხანაგი სტალინი ეუბნება: – „თუ ვენახები გვაქვს, ისევ წამოიზრდებიან ქართლ-კახეთს ვაჟკაცები და უპატრონებენ მამულს, ატენის ვენახები და ღვინო კი მაინც განსაკუთრებულია, არა ალექსი?“ – მიმართა ბუჩუკურს.

ალექსი უდასტურებს და უმატებს: – „ვის რომელი ღვინო უყვარს. მეც მაგალითად ატენის ღვინო მომწონს.

შემდეგ ამხ. სტალინი ალექსი ბუჩუკურს ეკითხება: – „მითხარით როგორ გამოიყურება გორი და რატომ გადააშენეთ სახეჩი ატამი?“

ალექსი დინჯად, ფიქრის შემდეგ იწყებს: – „აბა როგორ გითხრათ, გორი 1919 წელს რომ დაინგრა, რა თქმა უნდა ისე აღარ არის, მაგრამ ძალიან მოუვლელია, მანქანით ქალაქში სიარული გაძნელებულია, ქუჩები სულ ორმოებითაა სავსე; რაც შეეხება სახეჩ ატამს იგი ძალიან კარგი ხილია ადგილობრივი მოხმარებისათვის, მაგრამ ტრანსპორტს ვერ იტანს“.

მაშინ ამხ. სტალინი ეუბნება: – „როგორ გეკადრებათ, გორელებო, გორში კაცი ჩავიდეს და სახეჩი ატამი ვერ მოწყვიტოს და ისიამოვნოს, რადგან, თქვენი თქმით, იგი ტრანსპორტს ვერ იტანს? მაგრამ ადგილზეც ხომ არის ხილი საჭირო, ასე რომ სახეჩი ატამი უნდა აღადგინოთ“.

ამის შემდეგ ამხანაგი სტალინი იგონებს გორის მეხილეობას და ბუჩუკურს ეკითხება: – „გორში მეხილეობა ვითარდება თუ ძველის იმედზე ხართ?“

ბუჩუკური მოახსენებს, რომ: – „გორში მეხილეობა ვითარდება შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ აქაც მუშახელის ნაკლებობას განიცდიან, ისე კი გორული ვაშლის ჯიშები ძალიან კარგი და უხვმოსავლიანია, ცოტა წყალიც გვიჭირს. ხეხილისათვის არ გვცალიაო, ასე ამბობენ ხშირად“.

ამ დროს ამხანაგმა სტალინმა მოიგონა მისი დროის გორელი ბიჭები, რომლებთანაც ხშირად ჭიდაობდა – მათ შორის, სახელი არ მახსოვს, გვარად კი თათარაშვილი იყო, ისა მჯობნიდა, ნეტავ ახლა დამაჭიდა მასთან“, თქვა ხუმრობით.

საერთოდ უნდა ითქვას, ჩვენი შეხვედრა ისე წარიმართა, რომ ერთი-ორი საათის შემდეგ ისე მიგვიჩვია და ისე გაგვათამამა, თითქოს ამხ. სტალინთან ძველი მეგობრები შევიყარენით.

ამხანაგმა სტალინმა ლენინის სადღეგრძელოს შემდეგ, საბჭოთა ხალხი აღღეგრძელა, მერე გამოყო რუსი ხალხი და თქვა: „დიდი რუსი ხალხი მშრომელი, ამტანი და მომთმენი ხალხია. რომ არა რუსი ხალხი, გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდაო“. შემდეგ ამბობს ალექსი ბუჩუკურის სადღეგრძელოს: – „შენს სადღეგრძელოს იმიტომ კი არა ვსვამ პირველს, რომ გორელი ხარ. არა, ალბათ შენს კოლეგებს შორის ყველაზე უფროსი უნდა იყო“.

ალექსი ეთანხმება.

ამხ. სტალინი მიმართავს ბუჩუკურს:

– „არ შეგიძლიათ მეხილეობა კარგად განავითაროთ მესხეთში? პურს სხვაგანაც მოვიყვანთ. თქვენ იცით თუ არა, რომ ნიკოლოზ ხელმწიფეს სულ ახალციხის ვაშლი გაჰქონდა გემებით ამერიკაში ექსპორტად, იქაური ვაშლი ექვს თვეს ინახებოდა. დღეს კი მას თქვენ ნაკლებ ყურადღებას უთმობთ!“

ალექსიმ აღუთქვა, რომ ამ საკითხს მოახსენებდა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ამ დროს ამხ. სპარტაკ მამაცაშვილმა რამდენჯერმე მაგრად დაახველა, მას ამხ. სტალინმა ურჩია ერთი მოთქმით ღვინო დაელია, რადგან ეგონა, ხველა ლუკმის ყელში გადაცდენით იყო გამოწვეული, მაგრამ რაკი ხველა არ შეუჩერდა, ამხანაგი სტალინი დგება, მიდის სპარტაკთან, ზურგზე ხელს ადებს და ეუბნება: „შენ, ჩვენებურო თავადო, ალბათ გაგაციეს“, მიუბრუნდება გენერალ რაფავას და ეუბნება: – „სტუმრის მოვლა არ გცოდნიათ, როგორ გააციეთ სტუმარი?“ სპარტაკი ძალიან შეწუხდა, თავი უხერხულად იგრძნო: – „არა, იოსებ ბესარიონის-ძევ, აქ ძალიან კარგად გვივლიან, ალბათ მატარებელში გავცივდი“. ამხ. სტალინი მიუბრუნდება სპარტაკს: – „გორში ბევრი ანეკდოტები ვიცოდით ქარელის სოფლებზე და იქნებ გვითხრა“. სპარტაკმა თაი შეიკავა და ამხ. სტალინმა თვითონ გაიხსენა ერთ-ორი ანეკდოტი, მათ შორის მოხისში ტრიალ მინდორზე აშენებულ უწყლო წისქვილზე. შემდეგ იგი სვამს სპარტაკის სადღეგრძელოს: – „ქართლელებმა არ იფიქროთ, რომ მევენახეობას მარტო კახეთი უშველის, ხომ იცით, გორის ატენურას, გორულას, ჩინურსა და ქიწნურას რა სჯობია! ასე რომ, საქართველოს დიდი ვალი აწევს ქვეყნის წინაშე, მსოფლიოში ყველაზე განთქმული, კარგი სამარკო ღვინოები ქართულია, ცნობილი საფრანგეთის ღვინოები კი არ სჯობნის ქართულს ხარისხით, არამედ ისინი უკეთ აფორმებენ და რეკლამაც კარგი აქვთ, თუმცა ვინც გაიგებს ქართული ღვინის დიდ ღირსებას, რეკლამა არ უნდა, ისედაც მოიწონებს, მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენ ამერიკელებისგან უნდა ვისწავლოთ რეკლამირება, ეს საჭიროა, რას იტყვი სპარტაკ?!“

სპარტაკი დაეთანხმა: – „იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩვენი ქარხნების მოწყობილობა ამას ვერ პასუხობს, საჭიროა ჩვენც ისეთი ქარხნები და მასალა გვქონდეს, როგორც იმათ და კარგი ღვინოც კარგად გაფორმდება“.

სტალინი უმატებს – „ცოტა სული მოვითქვათ და ესეც იქნება“, შემდეგ მე მომიბრუნდა: „აბა, სუბტროპიკოსი – რას გვეტყვი, ალბათ იმას, რომ კოლხეთში ციტრუსებს ვერ გავაშენებთო, არა?“

მე კი ვეუბნები: – „იოსებ ბესარიონის-ძევ, საქართველო ტრაპიზონამდეა გადაჭიმული, დაგვიბრუნეთ ქართული მიწები და ციტრუსებიც ბევრი გვექნება“.

ამაზე ამხ. სტალინი მიპასუხებს: – „ეს საკითხი მოლაპარაკებით არ გადაწყდა“, მხრებზე ხელი დაიდო, თუმცა იმ პერიოდში სამხრეები არ ჰქონდა, უბრალო რუხი ფერის კიტელი ეცვა, მაგრამ მაინც გვანიშნა, პაგონებმა უნდა გადაწყვიტოსო. მერე ისევ მე მომმართავს: – „მე მაინც არა მჯერა, რომ ჰექტარზე 1000 ძირი ციტრუსი არ დაირგვება“.

მე ისევ მოვუყვანე გამოცდილი სპეციალისტების აზრი და დავარწმუნე, რომ მართლები ვიყავით, თუმცა მთლიანად არ დარწმუნდა, მხოლოდ ფორთოხალზე დაგვეთანხმა, სხვა ციტრუსები კი დარჩა ისევ 1000 ძირი ჰექტარზე. მერე ამხ. სტალინი იგონებს ბათუმს და ამბობს:

– „შენ იცი, ჩვენებურო, მე აჭარას ძალიან კარგად ვიცნობ, ქობულეთი და ბათუმის რაიონები გურულებია, ხოლო ქედა და ხულო ჩვენებურები, ე.ი. ქართველები, მაგრამ ქობულეთელებს კიდევ ხომ არ ეწყინათ, აჭარას რომ მივაკუთვნეთ“.

მე მაშინ მოვაგონე მისი შრომა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხები“. „დიახ ქობულეთმა ვერ მოასწრო ქრისტიანობის დაკარგვა და ისლამის მიღება, რა გეშველებათ ქობულეთელებს, არც ერთი რჯული რომ აღარა გაქვთ“ – ხუმრობით თქვა.

ამის შემდეგ გენერალი რაფავა ეკითხება ამხ. სტალინს:

– „იოსებ ბესარიონის-ძევ, როგორი ხალხია მეგრელები?“

ამხ. სტალინი პასუხს არ აძლევდა, რომ არავისთვის ეწყენინებინა, წამოდგა და ქართლელებს გასცინა ძალიან მწარედ, გენერალი მაინც არ ისვენებს, სთხოვს, რომ უპასუხოს.

ამხ. სტალინი ბოლოს მაინც ეუბნება: – „კარგები არიან მეგრელები, მაგრამ რომ არ გიეშმაკოს არ იქნება“.

– „გურულები როგორები არიან?“

– „ჭკვიანები, ყველა ბრძოლაში ჩაგყვება, მაგრამ ადრევე განჭვრეტს საშიშროებას და მშრალი გამოვა, ამასაც დიდი ჭკუა უნდა, არა!..“

– „აბა, როგორები არიან აჭარლები?“

– „აჭარლები? თვითონ მოკვდება და შენ არა“.

რაფავა: – „ეს როგორ გავიგოთ?“

– „მაშ რა ჩეკისტი ხარ, ეს ვერ გაიგე! არ გიღალატებს. აი, მე მოგიყვებით ჩემს თავგადასავალს: ბათუმში, მანთაშევის ქარხნის ეზოში შემოდის ქალაქის პოლიცმეისტერი, ორადგილიანი „პრალიოტკით“, მას ეზოში სამი კაცი ხვდება, პოლიცმეისტერი რაღაცას ჰკითხავს და შემდეგ გზას აგრძელებს იმ ცეხისაკენ, სადაც მე ვმუშაობ. ამ დროს მას აჩერებს ერთი ჩემზე დაბალი, ჩვენი ამხანაგი, პარტიის წევრი, გვარი მახსოვს – გურგენიძე და პოლიცმეისტერი „პრალიოტკიდან“ ძირს ჩამოდის, გურგენიძესაც რაღაც ჰკითხა და ამ დროს პოლიცმეისტერი „პრალიოტკაში“ რომ ადის, ცალი ფეხი „პრალიოტკაზე“ აქვს და ცალი ჰაერში, ჩემმა ამხანაგმა ფეხით გადმოატრიალა, ძირს დაანარცხა, წაართვა რევოლვერი, ამოუყარა ტყვიები და რაღაც უთხრა ყურში. პოლიცმეისტერი ისევ ავიდა „პრალიოტკაზე“ და უკან გაბრუნდა, თურმე გურგენიძემ უთხრა: – ტყვიები წაგართვი, იმიტომ, რომ თქვენ სანდოები არა ხართ, მესვრით, მაგრამ ცარიელ რევოლვერს გიბრუნებ, თორემ შე უბედურო, მოგხსნიანო. თუ ვაჟკაცი ხარ ჯუღაშვილს თავი გაანებე, თორემ ამაღამვე ოჯახიანად ამოგხოცავთ, გირჩევთ, თუ გინდა იცოცხლო, დღესვე საიდანაც მოსულხარ, იქით წადიო. მოდის ჩემთან გურგენიძე და მეუბნება – სოსო, გავიქცეთ, პოლიცმეისტერმა პირობა მომცა ამაღამვე ცოლ-შვილიანად ქუთაისში წავა და შევამოწმოთო. ჩვენც გავედით მატარებლის ბაქანზე და ვხედავთ, რომ პოლიცმეისტერი, მისი ცოლი და ორი პატარა გოგონა, თეთრი შლაპებით და ნოხში შეკრული ლოგინით მატარებელში ავიდნენ. გარდა ამისა, ბათუმში ძალიან კარგი ვაჟკაცები იყვნენ – ირემაძეები, იმათი სიტყვა და საქმე ერთი იყო“.

ამ სასიამოვნო სიტყვებმა მე გამათამამა და ამხ. სტალინს მივმართე: იოსებ ბესარიონის-ძევ, მიუხედავად ყველაფერი ამისა, აჭარლები მაინც ნაწყენები ვართ-მეთქი.

– „რატომ?“ – მკითხა ამხ. სტალინმა: მე წამოვიწყე:

– „იოსებ ბესარიონის-ძევ, როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, ჩემს მეგობრებსა და ჩემს შორის არავითარი განსხვავება არაა, ჩვენ ერთნაირი ქართველები ვართ, მაგრამ ჩვენს შორის ავტონომიის კედელია ამართული“.

სიჩუმე ჩამოვარდა, ამხ. სტალინი მიუბრუნდა სხვებს და სთქვა: „დახეთ ამ ღმერთძაღლს, გული შიგნიდან ჰქონია. თქვენ, ყმაწვილო, (მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა მე ვიყავი და ხშირად ასე მომმართავდა), იცით რატომ შეიქმნა ავტონომია?

– „ვიცი, იოსებ ბესარიონის-ძე, რატომ შეიქმნა ნახჩევანის და აჭარის ავტონომიები“.

– „რახან ნახჩევანიც ახსენეთ, ისტორიაც გცოდნიათ, – ამბობს ამხ. სტალინი, – მაგრამ მოხუცებულებს არ ეწყინებათ, ან ვინ მოითხოვს ორ მილიონ ქართველს, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ?„

მე ვუპასუხე: – „რატომ, ანგარიში გავუწიოთ მარტო მოხუცებულებს და არა მომავალ თაობას, ახალგაზრდობას და თურქეთის ტერიტორიაზე მყოფ ქართველებს, ჩვენ მთელი საქართველო მოვითხოვთ“.

შემდეგ ამხ. სტალინმა მოიგონა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, ამბობდა, ამა და ამ კუთხეში ვყოფილვარო, შემდეგ დასძინა: – „ჩვენებურებო, როგორი ქართველები ხართ, არ გიმღერიათ!“ ჩვენ იმდენად შეჩვეულები ვიყავით, რომ სიმღერაზე უარი არ გვითქვამს და სპარტაკმა წამოიწყო სიმღერა: „ნეტავი გოგო მე და შენ“. რა თქმა უნდა ჩვენც ავყევით, მაგრამ არ გამოგვივიდა, შემდეგ თვითონ სტალინმა წამოიწყო, ჩვენც ავყევით, მერე სიმღერა „ხასანბეგურა“ წამოიწყო და მე მომმართა – აბა, გურულო, მომეშველე. მე რას მივეშველებოდი, როცა ცუდად ვმღეროდი, „იცი რა, კარგი ყმაწვილი ხარ, მაგრამ სიმღერა კი არა გცოდნია“ – მითხრა ამხ. სტალინმა.

სუფრაზე ამხ. სტალინი ერთი და იმავე ჭიქაში ხშირად სხვადასხვა ღვინოს ურევდა, ჩვენმა მეგობარმა მამაცაშვილმა, როგორც მევენახემ უთხრა: იოსებ ბესარიონის ძევ, სხვადასხვა ღვინოს რომ ურევთ, ხომ გაწყენთ.

– „არა, ჩვენებურებო, კარგი კარგს ვერასოდეს ვერ გააფუჭებს!“

სუფრაზე შემოტანილ ხილს შორის იყო ანანასი. ამხ. სტალინმა გვკითხა: – „აბა, ბიჭებო, რა ხილია ეს?“ და რაკი იგი სუბტროპიკული იყო, მე შემომხედა, მე თავი გავუქნიე, არ ვიცი-მეთქი. მაინც რასა ჰგავს? – მკითხა მან. მე ვუპასუხე: – „ეს ერთად არეულ ხენდროსა და ფეიხოას გავს-მეთქი და მაშინ მითხრა: – „შენ მართლაც სუბტროპიკოსი ყოფილხარ, მაგრამ კი არ გცოდნია, რომ ეს ანანასია“ და მომსახურე ქალს სთხოვა, რომ ანანასი შემოეტანა და სამივეს თითო ცალი მოგვცა, მე ის ანანასი დღემდე შენახული მაქვს სპირტში და ჩემს ოჯახში, ჩემ სამუშაო მაგიდას ამშვენებს.

შემდეგ იგი გვეუბნება, ქართველები ისე არ მიდიან, თითო ჭიქა არ აიღონ და წამსვლელ-დამრჩენს გაუმარჯოსო, არ თქვან!

ჩვენც ვასრულებთ ამ რიტუალს, დილის 5 საათი და 40 წუთია: ვემშვიდობებით ამხ. სტალინს, ბოლოს მოგვმართა: – „რასა მთხოვთ!“ რა თქმა უნდა არაფერი გვითხოვია, მხოლოდ მე ვუთხარი: – „იოსებ ბესარიონის-ძევ, მე კიდევ მინდა თქვენთან შეხვედრა ავტონომიის საკითხზე. ამ დროს ის ეძახის დაცვის უფროსს, როგორც მახსოვს გენერალ ვლასიკს: „Запишите, он придет, я его приму“, შემდეგ მიუბრუნდა რაფავას, თითით აჩვენა ჩემზე და უთხრა: „გადაეცი კოტეს (ეს კანდიდია), ეს აჭარაში გაგზავნოს, იქ საჭირო“.

ჩვენი გაგრიდან დაბრუნების შემდეგ ამხ. კ. ჩარკვიანმა მოისმინა რა ჩვენი ინფორმაცია, საუბრის შედეგები და ამხ. სტალინის რჩევები, დარგების მიხედვით სათანადო დადგენილებები მიიღო.

დაბრუნებიდან 20-25 დღის შემდეგ ამხ. ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი ურეკავს ამხ. ჩარკვიანს, რომ მე დამელაპარაკოს, მე უკვე ცეკაში ვარ და ამხ. ჩარკვიანი მეძახის საჩქაროდ და მაძლევს ყურმილს, მელაპარაკება ამხ. მიქოიანი: „რომელი სპეციალისტი უხსენეთ თქვენ ამხ. სტალინს თბილისში რომ გადმოიყვანეს, პირობები ვერ შეუქმნეს და უკან დაბრუნებას აპირებსო“. მე ვუთხარი, რომ ეს არის მიხეილ ტაბლიაშვილი. ამხ. მიქოიანი მეუბნება: „მაშ წამოიყვანეთ ის და ჩამოდით, ზოგიერთი საკითხი უნდა დავაზუსტოთ ამხ. სტალინთან ერთად“. მაშინ მე დავარწმუნე ამხ. ჩარკვიანი, რომ სჯობდა ტაბლიაშვილთან ერთად მოსკოვში გაგვეყოლებინა ამხ. დავით ცქიტიშვილი, გამოცდილი მეციტრუსე, მე რაც ვიცოდი უკვე ველაპარაკე ამხ. სტალინს და ჩემი წასვლა ზედმეტი იქნება-მეთქი, ვუთხარი ამხ. ჩარკვიანს. იგი დამეთანხმა და მე დამევალა მათი მომზადება და გამგზავრება. ომის შემდეგ დიდი გაჭირვება იყო, მათ ვაჭრობის სამინისტროდან მივაცემინეთ ტანსაცმელი, უმაღლეს საბჭოდან დახმარება და გავამგზავრეთ.

ამხ. ტაბლიაშვილმა და ცქიტიშვილმა დაუდასტურეს ციტრუსების გაშენების ის აქსიომა, რაც მე ვუთხარი ამხ. სტალინს და ამის შემდეგ საკავშირო მთავრობა იღებს დადგენილებას საქართველოში ციტრუსების, ხილისა და ვენახის გაშენების შემდგომი ღონისძიების შესახებ.

მამია გოგოლიშვილი,

საქარველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

1984 წელი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს არ შეუძლია დაუახლოვდეს დასავლეთს და ამავე დროს გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან

საქართველოს საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ რიგაში თავის პირველ ვიზიტთან ერთად, რასაკვირველია, მოიტანა ცნობაც, რომელსაც აქ ელოდებოდნენ: გასულ შემოდგომას არჩეული მთავრობა აგრძელებს წინა ხელისუფლების მიერ აღებულ კურსს დასავლეთისკენ.

საპირისპირო სიგნალი ძნელად რომ წარმოიდგინო — მკვეთრი მოძრაობა საგარეო პოლიტიკურ ველზე რეკომენდებული არ არის ხელისუფლებაში მოსული ძალებისგან, მით უმეტეს, რომ ქართველთა 70 პროცენტი მხარს უჭერს ინტეგრაციას დემოკრატიულ სახელმწიფოებთან. სტრიქონებს შორის აზრს როცა ვკითხულობთ, მივდივართ დასკვნამდე, რომ ამ დაახლოებასთან დაკავშირებით საქმე განსაკუთრებულად არ მიიწევს წინ. რიგას რომ უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს, მოახდინოს გავლენა გადაწყვეტილებაზე, მაშინ შეიძლება ქართველების წარმატება უკეთესი ყოფილიყო. მაგრამ ლატვიის როლი ისეთია, როგორიც არის, და უკანასკნელი სიტყვა აქ სხვა სახელმწიფოებს ეკუთვნის. უკიდურეს შემთხვევაში, ასეა საკითხი საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ორ მძიმეწონოსანს — გერმანიას და საფრანგეთს — სხვანაირი შეხედულება აქვს „აღმოსავლეთ პარტნიორობასთან“ დაკავშირებით, ვიდრე ბალტიისპირეთს, პოლონეთსა და შვედეთს. ეს დაადასტურა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის ედგარდს ლინკოვიჩის გამონათქვამებმა, რომ ლატვიისა და სხვა მოკავშირეების სიგნალები მოსმენილი იქნება. საინტერესოა ასევე ლატვიელი მინისტრის შენიშვნა იმის შესახებ, რომ თბილისი უნდა ერიდებოდეს ბევრ არამეგობრულ სახელმწიფოებს. საინტერესოა იმის გაგება, თუ რომელია ეს ბევრი არამეგობრული სახელმწიფო. ალბათ, იგულისხმება ის სახელმწიფოები მეზობლად, რომლებსაც არ ესიამოვნებათ ქართველების წარმატებანი, — თუმცა, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი ხელისუფლება მხარს დაუჭერს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ დაწყებულ რეფორმებს.

ჩვენმა გაზეთმა ფანჯიკიძისგან მოისმინა პოზიტიური ინფორმაცია: მინისტრმა უთუო წარმატებად მიიჩნია ბევრი ის რეფორმა, რომლებიც განხორციელდა სააკაშვილის მმართველობის ორი ვადის პერიოდში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა მაინც ვერ შეძლო ეთქვა ჩვენთვის, თუ როგორ აპირებს მისი ქვეყანა აბსოლუტურად შეუძლებელს — დაუახლოვდეს დასავლეთს და ამავე დროს გააუმჯობესოს ურთიერთობანი მოსკოვთან. როგორც 90-იანი წლებიდან იყო ცნობილი, ეს შეუთავსებელი რამეა და ამაში დარწმუნდა ათობით მაღალი რანგის პოლიტიკოსი ფანჯიკიძემდე. ეს უნდა ვაღიაროთ, და ვინ იცის, შეიძლება, მაშინ უფრო იოლი იქნება დასახული მიზნისკენ — დასავლეთისკენ — წინსვლა. მაშინ აღარ იქნება იმის აუცილებლობა, რომ თავი ვიმართლოთ მოუწესრიგებელი ტერიტორიული საკითხების გამო, სწორედ ამას იყენებენ ამჟამად საქართველოს ზოგიერთი მოკავშირე ქვეყნები. არაოფიციალურ დონეზე სერიოზულად გამოითქვა შეფასება, რომ ასეთი ტერიტორიული უთანხმოებით სამხრეთი კავკასიის ამ სახელმწიფოს მიღება ნატოში შეუძლებელია...

Diena.lv

საქართველოში საზოგადოებრივი განხილვა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც ზღუდავენ პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ინციდენტით დაიწყო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ სხვადასხვა ძალაძში დებატებისთვის ჩასულებს ადგილობრივი ხელისუფლება აგრესიულად ხვდება. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ინციდენტებს „მთავრობის მიერ მოწყობილი კამპანია“ უწოდა, მიუხედავად იმისა, რომ შეტაკებათა ინიციატორები გამოვლინდნენ და დაისაჯნენ. ერთდროულად გამკაცრდა დაპირისპირება ორი პოლიტიკური ბანაკის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ძართული ოცნების“ ლიდერებს შორის.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, როგორც ჩანს, გამოდის გროგის მდგომარეობიდან, რომელშიც იმყოფებოდა პარლამენტის არჩევნებში დამარცხების შემდეგ. მისი წარმომადგენლები არანაირ შესაძლებლობას არ უშვებენ ხელიდან ოპონენტების უმკაცრესი კრიტიკისთვის. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, საქართველოს ექსპრემიერის ვანო მერაბიშვილის პრეს-კონფერენციაზე საქართველოს ეკონომიკური რეგრესის გამოცხადების შემდეგ მთავრობას შეუტია ქალაქ თბილისის მერმა გიგი უგულავამაც.

მისი სიტყვებით, „მთავრობის შემადგენლობა ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას“. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარეობს განახლება, განვითარება, ახალი სისხლის და ახალი კადრების შემოდინება, „ქართულ ოცნებაში“ კი ჯერ-ჯერობით არაფერი არ ხდება, ვინაიდან მათ რიგებში იმყოფებიან ედუარდ შევარდნაძისდროინდელი მინისტრები და დეპუტატები კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდისა“, — განაცხადა უგულავამ. ის ამტკიცებს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, „ჩვენ ვერ ვხედავთ ერთიან იდეოლოგიურ პლატფორმას, ხოლო საით და რისკენ მიჰყავს ამ ხალხს ქვეყანა, — გაურკვეველია“. „მათ არ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებანი — არც კარგი და არც ცუდი“, — მიაჩნია დედაქალაქის მერს.

საქართველოს ზედაფენები დარტყმებს ცვლიან

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არასაკმარისად მიაჩნია ხელისუფლების რეაქცია იმ ინციდენტებზე, რომლებიც მოხდა საკონსტიტუციო ცვლილებების საზოგადოებრივი განხილვის დროს. ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში დეპუტატებს ხელისუფლების ყოფილი პარტიიდან ხვდებოდნენ აგრესიულად. ყველაზე დიდი რეზონანსი გამოიწვია ქვეყნის დასავლეთში მომხდარმა ამბებმა, კერძოდ, ზუგდიდში, სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, დაუშინეს კვერცხები. უწესრიგობათა წამომწყებები ოპერატიულად გამოავლინეს და დააჯარიმეს 100 ლარით. პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა დაგმო მომხდარი და მოუწოდა მოსახლეობას ამიერიდან შეიკავოს თავი, „ხელი არ შეუშალოს და არ ჩაშალოს დებატების ცივილიზებული ფორმები“. მაგრამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ ეს აქციები ორგანიზებული იყო.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაწყებული შეტევა ხელისუფლებაზე გადაეყარა მკაცრ დაპირისპირებას. ხუთშაბათს პროკურატურამ განაახლა დაკითხვებზე ყოფილი მაღალჩინოსნების გამოძახება, თუმცა სადღესასწაულო დღეებში პრემიერმა ივანიშვილმა გამოთქვა შემრიგებლური მოსაზრებანი, აღნიშნა ასეთი პრაქტიკის შეწყვეტის მიზანშეწონილობა. ახალი ბრალდებები ხუთშაბათს გამოითქვა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის შოთა ხიზანიშვილის წინააღმდეგ, რომლის ერთ-ერთი მუხლიც ექვემდებარება ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ კანონს ამნისტიის შესახებ. დაკითხვაზე პროკურატურაში იმავე დღეს მიიწვიეს „ძველი თბილისის“ ადმინისტრაციის ექსხელმძღვანელი. სამართალდამცველებს უნაკლოდ არ მოეჩვენათ მისი საფინანსო საქმიანობა სახელმწიფო სამსახურში, და საკითხი, როგორც ჩანს, არის ის, რომ ძაფები მივა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უმაღლეს ხელმძღვანელებამდე.

ახალ მკაცრ კლინჩს (კრივში წესის დარღვევაა ერთგვარი — რედ.), რომელშიც მოკლე პაუზის შემდეგ შევიდა საქართველოს ყოფილი და ახალი ხელისუფლება, მეთვალყურეები ხსნიან პირველების სურვილით აიღონ რევანში და დაუპირისპირდნენ ამით მეორეს. სწორედ ამიტომ კონსტიტუციურ ცვლილებათა საყოველთაო განხილვამ მიიღო რამდენადმე ფორსირებული ხასიათი. ცნობილი გახდა ორი სცენარი, რომლებიც ვარაუდობენ პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შეზღუდვას.

პირველის თანახმად, უმრავლესობა ცდილობს, გააქტიუროს ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლებიც ხელისუფლების გადატანას მოითხოვენ პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ უკვე ახლა და არა მიმდინარე წლის ოქტომბერში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. მეორე სცენარი ვარაუდობს გაცვლას: პრეზიდენტი ღებულობს შესაძლებლობას დაითხოვოს პარლამენტი არა ნახევარი წლის შემდეგ მისი მუშაობის დაწყებიდან, არამედ სამი თვის შემდეგ, ესე იგი, უკვე ახლა, სამაგიეროდ, კარგავს უფლებას ჩამოაყალიბოს მთავრობა, დაუთმოს იგი ახალ პარლამენტს. არც ერთი ვარიანტი, რასაკვირველია, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ხელს არ აძლევს: პირველი სრულიად გამჭვირვალე მიზეზების გამო, მეორე კი — მოსახლეობის არასაკმარისი გაწბილების გამო „ქართული ოცნების“ მოქმედებით, ესე იგი, პარლამენტის ახალი არჩევნები „ნაციონალებს“ ამჟამად წარმატებას ნამდვილად არ მოუტანს. მაგრამ „მეოცნებეებსაც“ გაუჭირდებათ თავიანთი გეგმების რეალიზაცია. მათ პარლამენტში არ გააჩნიათ კონსტიტუციური უმრავლესობა — სასურველ ას მანდატამდე, მიუხედავად იმისა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქცია რამდენადმე შემცირდა, ისინი ვერ მიაღწევენ.

ამიტომ გასაგებია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეშფოთება, რომელმაც გამოაცხადა იმის შესახებ, რომ „ნაციონალების“ დეპუტატებზე ხორციელდება სერიოზული ზემოქმედება, რათა მან შეიცვალოს პარტიული კუთვნილება: „დეპუტატ მარიკა ვერულაშვილს ემუქრებიან მეუღლის დაპატიმრებით, რის გამოც იგი მზადაა, შეწყვიტოს სადეპუტატო მოღვაწეობა“. მთავარი პროკურატურა ამ ცნობის კატეგორიული უარყოფით გამოვიდა.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ტიმოშენკოს „ძალთა ბატალიონმა“ დატოვა მისი საავადმყოფო „ნახევრადშიშველმა“ და გულის შეტევით

სამი ქალბატონი — სახალხო დეპუტატები, რომლებიც მორიგეობდნენ ექსპრემიერის პალატასთან 16 იანვრიდან, — „თავტიტველა ჭაბუკების ჯგუფმა“ ხელით გამოიყვანა საავადმყოფოდან. ხელისუფლება დაბეჯითებით აცხადებს: ასრულებდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას. საავადმყოფოებში ქალებს, მათი სიტყვებით, არ აწვდიდნენ საჭმელს, არ აწვდიდნენ წყალს და ძარცვავდნენ კიდეც. თავად ტიმოშენკოც ცუდადაა: „ეს წამება არ არის, ბატონებო“.

* * *

ავსტრალია კვლავ იხუთება სიცხისგან: სიდნეიში მოიხსნა აბსოლუტური სატემპერატურო რეკორდი

ამჟამად სამხრეთი ნახევარსფეროს ამ კონტინენტზე შუა ზაფხულია, მაგრამ 40 გრადუსს ზევით ტემპერატურამ აიწია მხოლოდ ოთხჯერ ასზე მეტი წლის განმავლობაში. მოცურავე სიცხის გამო სერიოზულად დაირღვა ქალაქის სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობა, სიდნეის გარშემო კვლავ მძვირვარებს ბუნებრივი ხანძრები. თუმცა, უკვე მალე სინოპტიკოსები სიგრილეს გვპირდებიან, მასთან ერთად კოკისპირულ წვიმებსა და დამანგრეველი ძალის ქარს.

* * *

ამერიკის სამხედრო ხომალდმა, რომელიც თავთხელზე გაირიყა ფილიპინების მახლობლად, დააზიანა რიფები, რომლებიც იუნესკოს სიაში შედიოდნენ

ველური ბუნების მსოფლიო ფონდის ფილიპინის ქვედანაყოფმა განაცხადა, რომ ნალმიანმა ტრალერმა დააზიანა ათ მეტრზე მეტი რიფები, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე მდიდრად ითვლებიან ბიოლოგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით მარჯნის კუნძულების სამკუთხედის ყველა ობიექტს შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

* * *

მექსიკაში მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავის დამსხვრევის შემდეგ დაიღუპა 8 კაცი

ექვსკაციანმა ოჯახმა, რომელთაგან სამი ბავშვი იყო, დაიქირავა ერთ-ერთი კომპანიის თვითმფრინავი, რომ მეზობელ შტატამდე მისულიყო. აფრენიდან უმალვე მანქანის ერთი ძრავი აალდა და საპაერო ხომალდი 50 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. დაიღუპა ყველა მგზავრი, მათ შორის ოკეანის წარჩინებული

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „მეამბოხე“

სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად, ამნისტიის შედეგად 13 იანვარს ციხე რეინჯერთა ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა, ე.წ. მუხროვანის ამბოხისთვის გასამართლებულმა ლევან ამირიძემაც დატოვა. როგორც ირკვევა, წინა ხელისუფლების მიერ მუხროვანის ამბოხის ინსცენირების ერთ-ერთი მაპროვოცირებელი იყო ის გარემოება, რომ სამხედროებში პროტესტი მწიფდებოდა და მათი ნაწილი თანამდებობის დატოვების შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებას აპირებდა. ესენი იყვნენ ოფიცრები ლევან ამირიძე და მამუკა გორგიაშვილი. სააკაშვილმა კი მათ დაასწრო და იმის გამო, რომ სამხედროებში ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება საჯარო არ გამხდარიყო, მათ ამბოხების ორგანიზებაში დასდო ბრალი, მძიმე სასჯელები დაუნიშნა, გენერალი კრიალაშვილი კი დაკავებისას მოკლა.

„ჩვენი დაცხრილვის შემდეგ ჩემი ტაბელური იარაღი ვანო მერაბიშვილს ეჭირა ხელში“

ლევან ამირიძე: „პირველი პროტესტი, რაც გაგვიჩნდა, ეს იყო ომის შემდეგ, როდესაც სამხედროების მიმართ უნდობლობა გაჩნდა, დაიწყეს ჩვენი სატელეფონო საუბრების მოსმენა. სამხედრო ვარ და ვხვდები, როცა ჩემი ტელეფონი ისმინება. როდესაც 500 კაცის მეთაური ხარ და ამ პირად შემადგენლობას ომში განდობენ, საინტერესოა, მერე რატომ აღარ გენდობიან?

შინაგან საქმეთა მინისტრმა ფაქტობრივად გადაიბარა თავდაცვის სამინისტრო და მიმდინარეობდა კონტროლი და ზეწოლა სამხედრო მოსამსახურეებზე, ოფიცრებზე, მეთაურთა რგოლზე, რიგით შემადგენლობაზე. ხდებოდა სამხედროების დაბარება კუდსა და სოდ-ში და მათი „დავერბოვკება“, რათა იმ ქვედანაყოფში, სადაც მსახურობდნენ, გაერკვიათ, რა პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა ოფიცერთა შემადგენლობას. სამხედრო მოსამსახურეების აგენტებად ქცევა უნდოდათ. ამას დაემატა ისიც, რომ 26 მაისი ახლოვდებოდა, იწყებოდა სააღლუმო მზადება, ჩვენ კი იმ პერიოდში ნამდვილად არ გვეზეიმებოდა.

მოგვიანებით, ჩვენ ვნახეთ ერთი 26 მაისი, როდესაც მიშა სააკაშვილმა შეიარაღებული ძალები თავის სატაშფანდურო შპს საზოგადოებად აქცია, ვნახეთ გვამებზე გადავლილი მაღალჩინოსნები, როდესაც მაღაზიის სახურავზე უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანები შემოაწყეს. გახსოვთ, ალბათ, იმ პერიოდშიც (2009 წელს) მიტინგები მიმდინარეობდა, პარლამენტი პარალიზებული გახლდათ და დიდი ალბათობა იყო, რომ წინასააღლუმოდ ხელისუფლებას ეს აქცია დაერბია. შესაბამისად, 2009 წლის მაისშიც იგივე მოხდებოდა, რაც 2011 წლის 26 მაისს. სწორედ ამ ყველაფერმა გამოიწვია ჩვენი პროტესტი, ჩვენ უარი განვაცხადეთ აღლუმში მონაწილეობაზე, რადგან არ გვეაღლუმებოდა.

— თქვენ იცოდით, რომ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ სამხედროებს იბარებდნენ და თქვენი პოლიტიკური პოზიციის შესახებ ინფორმაციას სთხოვდნენ?

— კი, რა თქმა უნდა, ეს ბიჭები ჩემთან ერთად გაზრდილები და ჩემი თანამებრძოლები არიან, ამასთანავე, ომში გამოწრთობილი ბიჭები არიან და არ იკადრეს ასეთი რაღაც. ისინი მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ მათგან ამ ინფორმაციას ითხოვდნენ. მაშინ თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე იყო, მაგრამ ის ამ უწყებაში ვერაფერს წყვეტდა, რადგან თავდაცვის სამინისტრო შსს-ს დანამატად იქცა. ყველა ჩვენი გადაადგილება, ყველა მოქმედება, თავდაცვის სამინისტროს ყველა რეფორმა და ნებისმიერი ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანხმდებოდა და იქიდან იმართებოდა. მოგეხსენებათ, სამხედროებში ღირსებისა და პატრიოტიზმის გრძნობა ამაღლებული ადამიანებია, რადგან ეს ადამიანები ყველაზე ძვირფასს, თავის სიცოცხლეს სწირავენ თავისი სამშობლოსთვის. ამიტომ, როდესაც ასე გექცევიან და ღირსებას გილახავენ, სამხედროებში იწვევს იმის განცდას, რომ ვიღაც არ გენდობა, ხოლო, როდესაც ვიღაც არ გენდობა, სხვისი არ ვიცი, მაგრამ სამხედროებში ეს ძალიან ცუდად აღიქმება. სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ჩვენი პროტესტი და ვაპირებდით, ამის შესახებ განცხადება გაგვეკეთებინა.

— უკვე გქონდათ გადაწყვეტილი, როდის გააკეთებდით გადადგომის შესახებ განცხადებას?

— კონკრეტული თარიღი განსაზღვრული არ გვქონია. სიმართლე გითხრათ, ეს სპონტანურად მოხდა. იცოდნენ რა ჩემი განწყობა და ხასიათი, 4 მაისს, საღამოს საათებში პროვოცირების მიზნით ჩემი მოადგილე, ბატალიონის შტაბის უფროსი ზაზა მუშკუდიანი დაიჭირეს.

— რა ბრალდებით დაიჭირეს ეს ადამიანი?

— არანაირი ბრალდება, უბრალოდ მივიდნენ მასთან, გამოიყვანეს სახლიდან, ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს. მისმა მეუღლემ დამირეკა და მითხრა, ზაზა წაიყვანესო. ჯერ ვერ ვარკვევდით, სად ჰყავდათ წაყვანილი, არავინ არაფერი იცოდა. ზაზა მუშკუდიანი პატარა ბიჭი არ იყო, რომ სადღაც დაკარგულიყო და მივხვდით, რომ ან კუდ-ში, ან კონტრდაზვერვის დეპარტამენტში ეყოლებოდათ. იმ ღამესვე მეორე ჩვენი თანამებრძოლი და თანამოსამსახურე ვალერი ზირაქიშვილიც დააკავეს. ისიც ასე გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ მანამდე, რამდენიმე დღით ადრე, ვალერი კონტრდაზვერვის დეპარტამენტში ჰყავდათ დაბარებული და უთხრეს — მეთაურთან დაახლოებული პირი ხარ და იქნებ მასზე ინფორმაციები მოგვაწოდოო. შესაბამისად, როდესაც ვალერიც დააკავეს, უკვე მივხვდი, რაც ხდებოდა. ჩემი ნაწილი ორთაჭალაში იყო დისლოცირებული. იქიდან წავედი მუხროვანში, სადაც სატანკო ბატალიონი იყო დისლოცირებული. შევხვდი სატანკო ბატალიონის მეთაურს მამუკა გორგიაშვილს და ვუთხარი, რომ ასეთი ვითარება იყო, ბიჭები დაიჭირეს, რაღაც ზეწოლას აქვს ადგილი და შევთავაზე განცხადება გაგვეკეთებინა, რათა ასეთი ფაქტები ოდესღაც მაინც დასრულებულიყო. სწორედ ამ განცხადების გაკეთებას ვაპირებდით. მე კი, როგორც სამხედრო მეთაური, თანამდებობის დატოვების შესახებაც უნდა გამეკეთებინა განცხადება.

— როგორ ფიქრობთ, საიდან გახდა ცნობილი ხელისუფლებისთვის თქვენი განწყობა და ისიც, რომ განცხადების გაკეთებას აპირებდით?

— როგორც ჩანს, სამხედრო ნაწილში ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა და მათზე მუშაობდა. ჩემზე თვალთვალი ხორციელდებოდა, სადაც არ უნდა წავსულიყავი, ორი მანქანა დამყვებოდა. ალბათ, ხელისუფლებაში იფიქრეს, მე რომ განცხადება გამეკეთებინა, შეიძლება სხვა სამხედრო ნაწილების მეთაურებიც ამყოლოდნენ და ეს ყველაფერი საერთო უკმაყოფილებაში გადაზრდილიყო. ამიტომ გააკეთეს იმის ინსცენირება, ვითომ ჩვენ ამბოხი მოვაწყვეთ და შეიარაღებული მეთოდებით ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ვაპირებდით.

— როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ?

— ბატალიონი ალყაში მოაქციეს და ცდილობდნენ ჩვენს პროვოცირებას, რათა რაღაც გაუთვალისწინებელი მომხდარიყო. დიდი შანსი იყო, რომ ვიღაცას პროვოკაციის მიზნით გაესროლა და შემდეგ უკვე აღარავინ დაიწყებდა იმის გარკვევას, პირველმა ვინ გაისროლა. ამდენად, ისინი სამხედროების პროვოცირებას ცდილობდნენ, რომ ერთმანეთთან დაეპირისპირებინათ, ვითომ ამბოხის სპექტაკლის დასადგმელად.

— სააკაშვილმა მაშინ განაცხადა, რომ მას სატანკო ბატალიონის უფროსმა დაურეკა და უთხრა, რომ სამხედრო გადატრიალებას აწყობდა.

— სააკაშვილისგან არაერთი ამგვარი ტყუილი მოგვისმენია და ესეც მისი ერთ-ერთი მორიგი ტყუილი იყო. სააკაშვილი არ არის ის კაცი, რომ ჩვენთან დაერეკა და გაგვსაუბრებოდა.

— როდესაც პრეზიდენტი მუხროვანში მივიდა, თქვენ იქ უკვე აღარ იყავით?

— მე უკვე დატოვებული მქონდა მუხროვანის ბატალიონი. მიშა სააკაშვილს იმის ვაჟკაცობა ნამდვილად არ აქვს, რომ ჩვენი ყოფნის პერიოდში იქ მოსულიყო. აქედან ორი კვირა ძებნაში ვიყავით და ბოლოს ამას ის საზარელი სპეცოპერაცია მოჰყვა.

— მართალია, რომ ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და გივი თარგამაძე პირადად მონაწილეობდნენ თქვენი აყვანის ოპერაციაში, რა დროსაც გენერალი გია კრიალაშვილი მოკლეს, ხოლო თარგამაძე უკვე გარდაცვლილ კრიალაშვილს წინლებს ურტყამდა?

— პირადად მე არ დამინახავს, რომ თარგამაძეს ეს გაეკეთებინოს. ამიტომ, რაც არ მინახავს, იმას ვერ ვიტყვი, მათგან განსხვავებით. ისე, სპეცოპერაციის დროს იქ იმყოფებოდნენ ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და გივი თარგამაძე. ასევე გეტყვით იმასაც, რომ მაშინ, როდესაც ისინი თავს დაგვესხნენ და დაგვცხრილეს, მე ჩემი ტაბელური იარაღი მქონდა თან, ხოლო როდესაც მანქანიდან გადმოგვყარეს, ჩემი ტაბელური იარაღი ვანო მერაბიშვილს ეჭირა ხელში.

— თქვენზე ზეწოლას ციხის საავადმყოფოშიც ახორციელებდნენ?

— არა, რა ზეწოლა უნდა განეხორციელებინათ, რვა ტყვია მქონდა მოხვედრილი. როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ჩემგან რაიმეს მოთხოვნას აზრი არ ჰქონდა და თავი დამანებეს.

რუსუდან უშიკიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

სტიქიით დაზარალებულთათვის დამატებით 100 მილიონი გამოიყო

კახეთის რეგიონში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ფონდი „ქართუ“ 100 მილიონ ლარამდე გამოყოფს. კომპენსაციების გაცემა 21 იანვრიდან დაიწყება. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში კახეთის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის შემსწავლელი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, კომპენსაცია კახეთის 5 რაიონში, 28 500 ოჯახზე განაწილდება. კომისიის თავმჯდომარის თენგიზ შერგელაშვილის თქმით, დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის ოდენობა 100 ლარიდან რამდენიმე ათას ლარამდე განისაზღვრა.

ფონდ „ქართუს“ აღმასრულებელი დირექტორის ნიკო ჩხეტიანიის თქმით, სოფლის მეურნეობის ზარალის ასანაზღაურებლად ფონდმა 95 მილიონი გამოყო, ხოლო სახურავების შესაკეთებლად დამატებით 5 მილიონ ლარამდე გადაირიცხება. ჩხეტიანის თქმით, ჯამში ფონდი „ქართუ“ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დაახლოებით 100 მილიონ ლარამდე გამოყოფს. ამასთან, კახეთის გუბერნატორის ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, „ქართული ოცნება“ ზარალის სრულად ანაზღაურების დაპირებას იძლეოდა და მათი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ეს დაპირება შესრულდეს. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, მოვლენები იყოს გამჭვირვალე და ყველაფერი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხდებოდეს.

ცნობილი გახდა, რომ კახეთის 5 რაიონის გამგეობაში სახურავების პრობლემასთან დაკავშირებით 6 500-მდე განაცხადი შევიდა, გადაიხურა 100-ზე მეტი სახლი, შესაკეთებელი სამუშაოებისთვის კომპენსაცია გაიცა 350 ოჯახზე. თენგიზ შერგელაშვილის განმარტებით, პროცესი გაგრძელდება და ჯამში სახურავების მოწესრიგება შეეხება ყველა იმ ოჯახს, რომელიც სტიქიის შედეგად დაზარალდა. მისივე თქმით, თითოეულ სოფელში 5-8-კაციანი, ჯამში 97 კომისია მუშაობდა, რომელმაც თითოეულ ოჯახზე შეადგინა აქტი. მისივე თქმით, სამინისტროში 28 000-ზე მეტი აქტი არსებობს.

ვინ მოამარაგებს ჯარსა და ციხეებს საკვები პროდუქტებით?

კომპანიები და ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც სამხედრო ნაწილებსა და ციხეებს ერთი წლის განმავლობაში მოამარაგებენ, თავდაცვის სამინისტროსთან არსებული შპს „ქართული კვების“ კომპანიის მიერ გამოცხადებული რამდენიმეეტაპიანი კონკურსის ფარგლებში შეარჩიეს.

როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, კონკურსში ჯამში 150 კომპანია მონაწილეობდა. საბოლოო არჩევანი კი გაკეთდა იმ კომპანიებზე, რომლებიც სხვებთან შედარებით ხარისხიან პროდუქციას აწარმოებენ და დაბალ ფასად გაყიდვას დათანხმდნენ. მინისტრის მოადგილის თქმით, ჯარის საკვებით მომარაგება სახელმწიფოს წლის განმავლობაში საშუალოდ 60-დან 70 მილიონ ლარამდე უჯდებოდა და სამინისტროს მიზანია, რომ ეს ხარჯი შედარებით შემცირდეს. იმ 20 კომპანიას შორის, რომლებიც საკვები პროდუქტების მომარაგების ვალდებულებას იღებენ, არიან შემდეგი შპს-ები: „დაფნა“, „ფუდ სერვისი“, „გუილდი“, „ფ.პ. თრადე“, „გერმანელი ყასაბი-2010“, „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“, „პოულტრი ჯორჯია“, „ჯიჯიჯი კომპანი“, „ჯორჯიან ბეიქერს“, „იბერია რეფრეშმენტს“, სს „ბორჯომი საქართველო“, „კამპა“, „მეგაკო“, „იდეალ სერვისი“, „ეუროპაკი“, „ნილი“, „სერიდა“ და „საური“, ასევე ჩამონათვალში არიან ინდივიდუალური მეწარმეები „ავთანდილ დვალიშვილი“ და „ეკატერინე კუბლაშვილი“.

როგორც მინისტრის მოადგილემ ბრიფინგზე განაცხადა, სახელმწიფოსა და სამინისტროს მიზანია, რომ ისეთი უწყებების მომარაგება საკვები პროდუქტებით, როგორიც არის სამხედრო ნაწილები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, განახორციელონ კერძო სექტორის წარმომადგენლებმა და ეს მიმართულება საბოლოოდ ეტაპობრივად გადავიდეს კერძო სექტორის მართვაში. როგორც ზაზა ბროლაძემ აღნიშნა, კერძო სექტორისთვის ამ ფუნქციის გადაბარება, იქნება ჯარისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების უფრო ეფექტურად და ხარისხიანად მომარაგების გარანტი.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კონტაქტები

ლევან ყიფიანი ფიდე-ს გენერალურ მდივანს – იგნატიუს ლეონგს საქინისტროში შეხვდა

თბილისს საქმიანი ვიზიტით ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) გენერალური მდივანი იგნატიუს ლეონგი ესტუმრა, რომელიც ვიზიტის ფარგლებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანს და მის მოადგილეებს ზურაბ აზმაიფარაშვილს და თამაზ თევზაძეს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს 2015 წელს თბილისში დაგეგმილი ევროპის ოლიმპიური ახალგაზრდული ფესტივალის ფარგლებში მსოფლიოს 16 წლამდელთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების შესაძლებლობა.

გუშინვე, იგნატიუს ლეონგი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე სომხეთის ქალაქ წაჰკაძორში დაგეგმილ ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე გაემგზავრნენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ დარბაზბურთი

ჩვენი ნაკრები ევროპირველობის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება

საძართველოს დარბაზბურთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ ასათიანმა ნაკრების კაპიტან ჯაბა ჯამბურიასთან ერთად პრესკონფერენცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართა.

პრესკონფერენციის მთავარი თემა იყო 22-27 იანვარს მალტაში გასამართი უეფას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები B ჯგუფში 23 და 24 იანვარს მალტისა და მოლდოვას ნაკრებებს დაუპირისპირდება.

ჯგუფის პირველადგილოსანი აპრილის თვეში ჰოლანდიაში გასამართ ელიტ-რაუნდში ითამაშებს, სადაც B ჯგუფის გამარჯვებულთან ერთად ჩეხეთი, ბელარუსი და მასპინძელი ჰოლანდიის ნაკრებები არიან განთესილნი. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 12 საუკეთესო გუნდის მონაწილეობით 2014 წელს ბელგიაში გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ადამიანი დროში

დავით გოგია – 65

17 იანვარს ვეტერან ფეხბურთელს, გასული საუკუნის 70-იანი წლების თბილისის დინამოს მეკარეს დავით გოგიას 65 წელი შეუსრულდა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ბატონ დავითს იუბილეს ულოცავს და ჯანმრთელობას უსურვებს!

დავით გოგიას დებიუტი თბილისის დინამოში 1968 წლის 12 ნოემბერს შედგა: იგი სსრკ-ს ჩემპიონატში, კუიბიშევის კრილია სოვეტოვთან 7:1 მოგებული შეხვედრის მიწურულს რამაზ ურუშაძის ნაცვლად ჩაერთო თამაშში. 1970-1971 წლებში ქუთაისის

ტორპედოს მეკარე გახლდათ, 1972-1979 წლებში კი თბილისის დინამოს წევრი. კარიერა 1980 წელს დაასრულა ლანჩხუთის გურიაში ჩატარებული 4 მატჩის შემდეგ.

1978 წელს დავით გოგია საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, 1977 წელს – ვიცე-ჩემპიონი, 1972 და 1976 წლებში კი სამჯერ მოიგო პირველობის ბრინჯაოს მედალი. 1976 წელს თბილისის დინამომ ისტორიაში პირველად აღმართა საბჭოთა კავშირის თასი – გოგია ძირითადი მეკარე გახლდათ. 1979 წელს, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალს დაეუფლა.

1978 წელს დავით გოგია სსრკ-ს პირველობის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის პირველ ნომრად დაასახელეს.

გიორგი ზოთაძე

◎ კარატე

ასე გავვაცილეთ 2012

ახალი სეზონის პირველი ტურნირი შოტოკან კარატე-დოს ქართველ ოსტატებს ხარკოვში თებერვალში ელით. ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორ გაისტუმრეს მათ შარშანდელი სეზონი. გვესაუბრება ამ სახეობის ეროვნული კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი მზეჭაბუკ მახარაძე.

– 2012 წლის ფინიშზე ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებას როტერდამმა უმასპინძლა, სადაც თქვენი მონა-მორჩილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ინდივიდუალურ კატაში (უფროსები): იქვე გვასახელა ბექა ოთარაშვილმა, რომელიც 15-წლიანებში ინდივიდუალურ კუმიტეში მეორე პრიზიორი გახდა.

ჰოლანდიიდან დაბრუნების შემდეგ დედაქალაქის ღია პირველობა გავმართეთ, რომელშიც განსაკუთრებულად იყოჩაღეს ლუკა მამამთავრიშვილმა (9 წლის, ინდივიდუალური კატა, კლუბი „შოტოკანი“), ალექსანდრე ბაღიშვილმა (9 წლის, ინდივიდუალური კუმიტე, კლუბი „შოტოკანი“), ანრი ბიწკინაშვილმა (13 წლის, ინდივიდუალური კუმიტე, კლუბი „ალიგატორი“), თამაზ გოჩელაშვილმა (14 წლის, ინდივიდუალური კუმიტე, ქუთაისი), ვალერი ჩანქსელიანი (16 წლის, ინდივიდუალური კუმიტე, ქუთაისი), ლაზარე კალმახელიძემ (11 წლის, ინდივიდუალური კატა და კუმიტე, ქუთაისი) და გიორგი გოჩაძემ (14 წლის, ინდივიდუალური კატა, კლუბი „შოტოკანი“). რაც შეეხება გუნდურ კუმიტეს, აქ ყველას კლუბმა „ალიგატორმა“ აჯობა.

შთამბეჭდავად გამოვიდნენ ჩვენი თანამემამულენი თეირანშიც, რასაც მათ მიერ მოპოვებული 2 მედალიც ადასტურებს. ამჯერად ვიცე-ჩემპიონობა ბაჩუკი აბესაძეს ერგო 14-15 წლიანთა ინდივიდუალურ კუმიტეში (-55 კგ), ხოლო „ბრინჯაო“ სანდრო ქავზინაძემ დაიმსახურა 10-წლამდელთა ინდივიდუალურ კატაში.

ვიმედოვნებთ, წლეულს უფრო უხვი მონაგრით გაგახარებთ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჭიდაობა

თავისუფლებმა ბორჯომული შეკრება დაიწყეს

საძართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ახალი სამწვრთნელო შტაბი მუშაობას შეუდგა. რევაზ მინდორაშვილმა, დავით პოღოსიანმა და ალექსანდრე კახნიაშვილმა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პირველი შეკრების გასავლელად ბორჯომში ჩაიყვანეს. გუნდი სპორტკომპლექს „ოლიმპში“ დაბანაკდა. სამუშაო პროცესის მიმდინარეობისა და ევროსამზადისის გეგმის შესახებ რევაზ მინდორაშვილმა განაცხადა:

„ბორჯომში 15 იანვარს 35-კაციანი შემადგენლობით ჩამოვედით. აქედან 30 სპორტსმენია. სწორედ ამ კანდიდატთაგან შეირჩევა ევროპის ჩემპიონატზე დასაყენებელი შვიდეული, ოღონდ იქამდე საერთაშორისო ტურნირები და კიდევ ორი შეკრება გველის. ბორჯომიდან თბილისში იანვრის ბოლოს დავბრუნდებით. 9-10 და 16-17 თებერვალს კი ნაკრები თურქულ და უკრაინულ ტურნირებზე იჭიდავებს. გადავწყვიტეთ, ძირითადი შემადგენლობის უმთავრესი კანდიდატები სწორედ ამ ორი შეჯიბრის განაცხადებში გადავანაწილოთ და ასპარეზობებს უმალ კიდევ ერთი ორკვირიანი მოსამზადებელი შეკრება მოვაყოლოთ. 21-22 თებერვალს ირანში გასამართ მსოფლიოს თასზე, სავარაუდოდ, მეორე-მესამე ნომრებით დაკომპლექტებული გუნდი ჩავა. ევროპირველობისწინა დასკვნითი შეკრება კი დაახლოებით ათდღიანი იქნება, ოღონდ ჯერ საბოლოოდ არ გადაგვიწყვეტია, სად მოვემზადებით. როგორც ხედავთ, გეგმა დღეებშია გაწერილი. კარგი იქნებოდა, სპორტსმენებს ორ-ორ ტურნირზე გამოსვლა მოესწროთ, მაგრამ ძალიან ცოტა დრო გვაქვს და ეს ფიზიკურად შეუძლებელია“, – განაცხადა რევაზ მინდორაშვილმა.

ნაკრების მთავარ მწვრთნელს საკადრო ცვლილებებისშემდგომ შესაძლო შიდა დაძაბულობაზეც ვკითხეთ, რაზეც გვიპასუხა, რომ ნაკრებში სრული სიმშვიდეა. „აბსოლუტურად ყველა მოჭიდავე საქმეს პროფესიულად უდგება და არც ტრავმა აწუხებს ვინმეს. მოსამზადებელი პროცესი კარგ, საქმიან გარემოში მიმდინარეობს. წინ ევროპის უმნიშვნელოვანესი ჩემპიონატი გველის, რომელსაც თბილისმა უნდა უმასპინძლობს. ეს თითოეული ჩვენგანისთვის უდიდესი დამატებითი პასუხისმგებლობაა და ვეცდებით გულშემატკივრები წარმატებებით გავახაროთ“, – დასძინა მინდორაშვილმა.

ბეჟან დოლიძე

◎ თაობა

კატალონიის ქართველი ჩემპიონი

ძართველი ძიუდოისტი ნიკა ჩაკვეტაძე კატალონიის 15-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა და ესპანეთის პირველობაზე ჭიდაობის უფლება მოიპოვა. კატალონური სპორტული გამოცემების ცნობით, ჩაკვეტაძემ ოქროს მედალი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა.

ესპანეთის ჩემპიონატი მაისში მადრიდში უნდა გაიმართოს.

საკუთარი ინფორმაცია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რწმენა

მოსე და მუსა

სხვადასხვა რელიგიის წმინდანები ერთი და იგივე პიროვნებები არიან?

ისრაელის მთავრობამ უფლის საფლავის ტაძარს ჩამოუწერა კომუნალური ვალები. ქრისტიანული სამყაროს მთავარ წმინდა ადგილს ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდნენ იუდეველები და მუსლიმანები. იმიტომ, რომ მსოფლიოს ყველა რელიგიას აქვს მუდმივი საერთო ღირებულებანი.

— **იუდაიზმი**, ქრისტიანობა, ისლამი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჩამოყალიბდნენ, ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ისინი მკითხველებს აგზავნიან სიძველის ერსა და იმავე წყაროსკენ, და მათს წმინდა წიგნებში გვხვდებიან სიუჟეტური ხაზები და მოქმედი პირები, — ამბობს სანქტ-პეტერბურგში რელიგიის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ეკატერინე ტერიუკოვა. — ყველა მათგანი უნივერსალურ მორალურ-ზნეობრივ ღირებულებებს ქადაგებს: არა კაც კლა, არ იქურდო, არ იმრუშო და სხვ. ადამიანთა თანაცხოვრების ანალოგიურ ნორმებს ზნეობრივი ქცევის სახით აღიარებენ სხვა რელიგიებიც, მაგალითად, პირველი წარმოშობის დროით — ბუდიზმიც.

ქრისტიანობა ✝ | ისლამი ☪ | იუდაიზმი ✡

გმირები

აბრაამი ✝ ✡ იბრაჰიმი ☪

სამივე რელიგიაში ერთღვთაებამ, ვისგანაც მიიჩნევენ თავიანთ საწყისს ებრაელი და არაბი ხალხები, გამოავლინა ღმერთისადმი მორჩილების უმაღლესი ხარისხი, გადაწყვიტა, ურყევად შეეწირა მსხვერპლად თავისი შვილი, ქრისტიანობასა და იუდაიზმში — ისააკი, ისლამში — ისმაილი.



იესო ქრისტე ✝ ისა ☪

ქრისტიანობაში იესო ნაზარეველი — ქრისტე ქადაგებდა ღვთის სუფევის მალე დადგომას, კურნავდა ავადმყოფებს, აცოცხლებდა მიცვალებულებს, მოკვდა წამებრივი სიკვდილით ჯვარზე, გამოისყიდა ადამიანთა ცოდვები, მესამე დღეს კი აღსდგა და ცად აღევლინა. იუდაიზმი იესოს არ მიიჩნევს მესიად, ე.ი. მაცხოვრად, გადამრჩენლად. ისლამში ისა — ალაჰის ერთ-ერთი სათაყვანისმცემო წინასწარმეტყველია, რომლის მეშვეობითაც უფალმა გაგზავნა საღმრთო წერილი — ინჯილი (სახარება). ისას ღვთიურ წარმომავლობას არ აღიარებს.

სოლომონი ✝ შლომო ✡ სულეიმანი ☪

იუდეველთა და ქრისტიანული ტრადიციების თანახმად თაყვანს სცემენ როგორც დავითის ძეს, ძველ მმართველს, იერუსალიმის ტაძრის მშენებელს. ისლამში ის დაუთის ძეა, წინასწარმეტყველი და ბრძენი მეფე, ვისაც ესმოდა ცხოველთა და ფრინველთა ენა. სამივე რელიგიაში არის ხსენება სოლომონის შეხვედრის შესახებ დედოფალ საბასთან (ისლამში ბილკისთან).

მოსე ✝ მოშე ✡ მუშა ☪

ამ წინასწარმეტყველის ცხოვრების აღწერა სამივე რელიგიაში ერთმანეთს ემთხვევა — უპატრონო, რომელიც აღიზარდა ეგვიპტის ფარაონის ოჯახში, ღმერთისგან მიიღო რჯულის ქვის ფიცარი ათი მცნებით. იუდაიზმის მიხედვით, მოსემ სინას მთაზე გადმოავლინა თორა (იუდეველთა წმინდა წერილი), ისლამში-მუსამ-ალაჰის თანამესაუბრემ, რომელსაც ღმერთმა გადმოუვლინა თაურატი (მუსულმანთა წმინდა წერილი).

წმინდა გიორგი ✝ ჯირჯისი, გირგისი, ელ-ჰუდი ☪

ერთ-ერთი ყველაზე სათაყვანებელი წმინდანი. წმინდანთა ცხოვრების თანახმად, როდესაც დაიწყო ქრისტიანთა დევნა, წავიდა იმპერატორ დიოკლეტიანესთან თავისი რწმენის დასაცავად. გადმოცემით, გიორგი ჩასვეს საპყრობილეში და აუტანელი წამების შემდეგ მოკვეთეს თავი. მუსლიმანურ ტრადიციაში ის ასევე რწმენისთვის წამებულია, რომელიც პალესტინაში ცხოვრობდა. მუსლიმში იმპერატორმა დადანმა წამებით მოკლა, მაგრამ შემდეგ აღსდგა და ბევრი მიცვალებული აღადგინა.

აგრეთვე:

ძალწული მარია ✝ მარიამი ☪

იოანე ნათლისმცემელი ✝ იაჰია მთავარანგელოზი ☪

გაბრიელი ✝ ჯაბრაილი ☪ **და სხვ.**

საერთო სიუჟეტები

წარღვნა

ნოე (იუდაიზმსა და ქრისტიანთა შორის, ნუხი-ისლამში) წმინდანია, გადარჩა მსოფლიო წარღვნის შემდეგ. ღმერთის მითითებით, დაამზადა კარავი, რომელშიც შეიყვანა თავისი ოჯახი და ცხოველთა ყველა სახეობის წყვილი. მას კაცთა მოდგმის გადამრჩენელად მიიჩნევენ. ყურანში ნუხი — ერთ-ერთი ყველაზე სათაყვანებელი წინასწარმეტყველია. ქადაგებდა ღმერთის ერთარსებას, თუმცა წარუმატებლად. მაშინ ნუხმა ითხოვა დახმარება და ალაჰმა უბრძანა მას აეგო კარავი, შემდეგ მსოფლიო აღავსო წყლით. ყველა ურწმუნო დაიღუპა...

განკითხვის დღე

ყველა რელიგიაში ადამიანთა უკანასკნელი განკითხვაა, როდესაც ვლინდებიან უცოდველნი და ცოდვილნი.

წარმოდგენა სამოთხეზე

სამოთხე — ქრისტიანულიც, მუსლიმანურიც — ეს არის წალკოტი, სადაც ხვდებიან უცოდველები. იუდაიზმის მიხედვით, იქ ხვდებიან მხოლოდ „სუფთა“ ადამიანები. მაგრამ მოშეც კი (მოსე) ვერ მოხვდა „სუფთათა“ შორის.

საერთო სიწმინდეები

სატაძრო მთა იერუსალიმში

აღიარებენ წმინდა ადგილად სამივე აბრაამისეული რელიგიის მიმდევრები. იუდეველთა და ქრისტიანთათვის ეს არის ადგილი, საითაც წავიდა აბრაამი, რათა უფლისთვის თავისი შვილი ისააკი შეეწირა, მეფე სოლომონმა კი მის მწვერვალზე ერთიანი უფლის ტაძარი ააგო. მუსლიმანთათვის ეს არის ადგილი მუჰამედის ამაღლებისა ალაჰის ტახტისკენ ეგრეთ წოდებულ ამაღლების ღამეს. ჩვენს დროში სატაძრო მთის ძირში დასავლეთის კედლის წინ სალოცავად იკრიბებიან იუდეველები.

Аргументы и факты

სხვათა შორის

რელიგიათმცოდნეობაში საერთოდ მიღებულია, რომ ყველა აბრაამისეული რელიგია წარმოიშვა ძველ ებრაელთა მონოთეისტური რელიგიისგან (იუდაიზმისგან), რომელიც გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში. დაახლოებით I საუკუნეში ჩვენს ერამდე აქ წარმოიქმნა ქრისტიანობა. ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში არაბეთის ტერიტორიაზე გაჩნდა ისლამი.



გარდაიცვალა ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდებული მსახიობი, ბატონი ზურაბ სალარაძე, რომელმაც მრავალი დაუვიწყარი სახე დატოვა ქართულ თეატრსა და კინოხელოვნებაში. ქართული სიტყვის მესაიდუმლე, უბადლო დეკლამატორი. მისი სახელი თეატრალური ხელოვნების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს, ახლობლებს და დიდი გულისტკივილით ეთხოვება ქვეყნის რჩეულს.

მერაბ ბერძენიშვილი

აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, მრავალი პრემიის ლაურეატი, განუმეორებელი მსახიობი და ბუმბერაზი პიროვნება

ზურაბ სალარაძე

მან არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. კოლექტივი თანაუგრძნობს მის ოჯახსა და მეგობრებს.

ზურაბ ცხაკაიას ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა დიდად მოსიყვარულე და უერთგულესი მეგობარი

ზურაბ სალარაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის თანამშრომელს ნაირა კეკელიას მამიდის,

გოგოლა კეკელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედიატრთა ასოციაცია და საქართველოს ბავშვთა ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედიატრი, პროფესორი

ირაკლი ციციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პედიატრიის ინსტიტუტი ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედიატრი, პროფესორი

ირაკლი ციციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1978 წლის 105-ა ჯგუფის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ღირსეულ მამულიშვილს იური ქარაბაკს მამის, ბატონ

დემურ ქარაბაკის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა ბაღდათში 19 I, 14 სთ. (გუბელაძის ქ. 4).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საუფლო დღესასწაული

ნათლისღება

გაცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

19 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს – ნათლისღებას ზეიმობს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხვედრი იყო ის, რომ თავისი ცხოვრებით ეჩვენებინა ჩვენთვის მაგალითი და ამით ხსნა მიენიჭებინა ისევ ჩვენთვის. იგი ძის აღთქმულ მეუფებას ელოდა და ბოლოს, როცა იესო ქრისტეს 30 წელი შეუსრულდა, ეს დღეც დადგა; იუდეური ჩვეულების თანახმად, ამ ასაკზე ადრე სახალხო მასწავლებლის ან მოძღვრის წოდებას ვერავინ მიიღებდა; რადგან სჯულს ემორჩილებოდა, ღმერთკაცს სახარების ქადაგება გარკვეულ ასაკამდე არ დაუწყია. ის ნაზარეთიდან წავიდა იორდანეს ნაპირებისკენ, სადაც იოანე წინამორბედი თავის მსახურებას აღასრულებდა და ყველას წყლით ნათლობისკენ – სინანულისა და განწმენდისაკენ მოუწოდებდა.

იესო ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა“ მიიღო იოანე ნათლისმცემლის ხელით და იორდანეში მოინათლა. ამით მან ნათლისღების აუცილებლობა ასწავლა ყველას. ამ დროს ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და ერთგულების სიმბოლო – მტრედის სახით – სულიწმიდა მათზე გადმოვიდა და მამის ხმაც გაისმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“. მაცხოვრის ღვთაებრიობა წმინდა სამების განცხადებამ დაამოწმა.

იესო ქრისტე წყლიდან გამოსვლის შემდეგ იორდანეს უდაბნოში განმარტოვდა, რათა ლოცვითა და მარხვით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრული საქმისთვის – კაცობრიობის ხსნისთვის – მომზადებულიყო. ორმოცი დღე და ღამე გაატარა მან ამ ველურ ადგილებში, სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი, მოწაფეებისა და ხალხის თანხლებით დაბრუნდა ყოვლადწმინდა დედასთან.

გადმოცემა გვამცნობს, რომ მცირე ხნის შემდეგ უფალი იესო ქრისტე კანას გალილეაში საქორწინო წვეულებაზე ღვთისმშობელთან ერთად მიიწვიეს, ქორწინდებოდა სვიმონ კანანელი... აღმოჩნდა, რომ ღვინო არ ჰყოფნიდათ. აი, აქ დაიწყო მან სასწაულების აღსრულება თავისი ყოვლადწმინდა დედის შუამდგომლობით, რათა ხალხისთვის ჩაეგონებინა, რომ მხურვალე მეოხი ყოველთვის შეევედრება თავის ძეს – ღვთაებრივი წყალობა მიიღოს მწუხარეთა და ჭირვეულთა, ცოდვებით მოწყლულთა ზედა. იესომ იგრძნო, რომ ამ ქვეყნად მის მოვლინებას ზეციური მამა განაგებს, მისი მამის ნების აღმსრულებელია... მან წყალი ღვინოდ აქცია, ამის შემდეგ გააგრძელა სასწაულები, რომელიც მოვლენილი მესიის ღვთაებრივ ბუნებას აშკარად ამოწმებდა.

წყალკურთხევა (დიდი აიაზმას წესით წყლის კურთხევა) დედა ეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს.

ნათლობის გარეშე ცხონება შეუძლებელია. როგორც თვითონ მაცხოვარმა ბრძანა: „უკუეთუ ვინმე არა იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლა სასუფეველსა ღმრთისასა“.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვარსკვლავთგან

„ძვეყანას ვადაგასული პრეზიდენტი არ სჭირდება! აძციებს დავიწყებთ!“

– აცხადებს ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე, – ვითხოვთ ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას. მანამდე პრეზიდენტის ფუნქცია პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა შეასრულოს... მართალია, პრეზიდენტის იმპიჩმენტს 800 ათასზე მეტმა მოქალაქემ დაუჭირა მხარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საჭიროების შემთხვევაში, ქართული მოსახლეობის 95 პროცენტი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ წავა.

„ვერსია“

რა იყიდება არაჟნის ნაცვლად

ქართულ ბაზარზე არსებული არაჟნის აბსოლუტური უმრავლესობა ნამდვილი არაჟანი არ არის. შემოწმებული 6 დასახელებიდან ნამდვილი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა. „სანტე“, „ეკო-ფუდი“ და „მე მარგო“ რძის ცხიმს არ შეიცავს და მხოლოდ მცენარეული ცხიმისგანაა დამზადებული.

ამ ინფორმაციას „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ ავრცელებს.

„რეზონანსი“

„ჩვენება არც ერთ საქმეზე არ მიმიცია“

– ამბობს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, – მე არც მქონია პრეტენზია, რომ მოწმე ვყოფილიყავი, ჩვენება არც ერთ საქმეზე არ მიმიცია და თუ მკითხავენ, პასუხს გავცემ.

არ არის გამორიცხული, ოქრუაშვილი უახლოეს მომავალში ალაპარაკდეს.

„ახალი თაობა“

◎ ჭინჭარსიტყვა

მესიჯი საოციანვროდ

აღარ გავაჭიაყელებ,
მოკლედ გეტყვი სათქმელსაო:
კუთხეში თუ მიგაყენეს,
იქ დაგინთებ სანთელსაო!..

გონწასულო, აღარ მრთელო,
დააქციე საქართველო,
წადი-მეთქი, ისიც გეყო,
რაც გამყოფეს აქამდეო...

რამაზ ილმელი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ დაიჯესტი

ცხოველი-ზოოპარკი

1880 წელს ინგლისში მეტად უცნაური ცხოველის ფიტული ჩაიტანეს: მიუხედავად იმისა, რომ ახლად აღმოჩენილმა ავსტრალიამ უკვე მოიხვეჭა უცნაური ფლორისა და ფაუნის სამშობლოს სახელი, მსგავსი რამ ამ ფონზეც მეტად უცხო რამ იყო.

ზოოლოგები ამ არსებას დიდი უნდობლობით შეხვდნენ: მას ძუძუმწოვარასავით ბეწვი, წყლის ფრინველივით ნისკარტი ჰქონდა, თათებზე დეზები კი გველივით შხამს გამოყოფდნენ! თანაც კუდქვეშ მხოლოდ ერთი ნახვრეტი ჰქონდა, როგორც ყველა კვერცხისმდებელ ცხოველს აქვს! ამიტომაც იყო, რომ დიდი სკანდალი აგორდა – რა თქმა უნდა, ეს მისტიფიკაციაა! მაგრამ ამ ცოცხალი ცხოველის თვითმხილველთა ცნობებმა მეცნიერები შოკში ჩააგდო. მერე დრო დადგა, როცა მათ ხელში უკვე ცოცხალი იხვნისკარტები მოხვდნენ. აღმოჩნდა, რომ ანატომიურად ისინი თან ძუძუმწოვრებს, თან ქვეწარმავლებსა და ფრინველებს ჰგვანან, ბოლოს კი, 1884 წელს მათ კვერცხებსაც მიაგნეს.

იხვნისკარტები ტროპიკული მდინარეებიდან მოყოლებული ზღვის დონიდან ორი კილომეტრის სიმაღლეზე მდებარე მტკნარი წყლის აუზებში ბინადრობენ და წყალში ცხოვრებას მშვენივრად არიან მორგებულნი. ისინი მდინარეებისა და ტბების შლამს იხვის მსგავსი ნისკარტით ცრიან და მოყოლილი პატარ-პატარა ცხოველებით – ლოკოკინებით, ჭიაყელებით, თავკომბალებითა და სხვ. იკვებებიან. ორი სანტიმეტრის სიგრძის კვერცხებიდან გამოჩეკილი პატარა იხვნისკარტები კი ერთიანად ძუძუმწოვარა კბილებიან ცხოველს, ფრინველს და ქვეწარმავალს ჰგვანან, ასე რომ ერთი ეგზემპლარი ლამის მთელ ზოოპარკს ცვლის!

◎ ანეკდოტები

– ხომ ვერ მეტყვი, რატომ მეძახიან ყველანი ჯინს? – ეკითხება ერთი ლოთი მეორეს.

– იმიტომ, რომ სადაც კი ბოთლი გაიხსნება, შენც უმალ იქ გაჩნდები ხოლმე!

* * *

– ძალიან საშიში გამოგონებაა ეს საბეჭდი მანქანა, – ეუბნება ერთი მბეჭდავი მეორეს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ როცა არ მუშაობ, მაშინვე ისმის.

* * *

ჩუძჩა მეგობარს წერილს უგზავნის თურქმენეთიდან:

– აქ თოვლი ყვითელია და ცხელი, ირმები იფურთხებიან!

მხოლოდ საავტომობილო საცობში გრძნობენ უბრალო ადამიანები თავს თანაბარუფლებიანებად.

* * *

სამსახურში წავიდე თუ დავიძინო? დავიძინო თუ სამსახურში წავიდე?

ვიპოვე კომპრომისული გადაწყვეტილება: წავალ სამსახურში და იქ დავიძინებ.

* * *

– წარმომიდგენია, ვწევარ პლაჟზე. უცებ მოვიდა ვიღაც ორმეტრიანი აყლაყუდა, ცალ მუხლზე დაეშვა და ცოლობა მთხოვა.

– ჰოო? მერე?

– რა, მერე, დავთანხმდი.

– ეგრე უცებ?

– აბა რა მექნა, იქამდე მეცადა, სანამ მეორე მუხლსაც არ მომამტვრევდა?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com